ახალი

განთიადი

„ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული„

2021 წელი 26 თებერვალი № 1-2 № 8165

ალექსანდრე დიუმა: ერთი სიმართლით განთქმული რუსი მეუბნებოდა: ქართველები ბრძოლაში უნდა ნახო, მაშინ ისინი ჩვეულებრივი ადამიანები კი არ არიან, არამედ ტიტანები, რომელთაც ძალუძთ, ზეცა იერიშით აიღონ.

ელფოსტა
AxaliGantiadi@gmail.com

90-ე წელია ჩვენი გაზეთი იწერება, ვგრძოვებს, იბეჭდება რეიტინგს ძალონია, ხანდაც ეს ფრა ყველა ეროვნულ ეროვნებს, ქმნის ჩვენი ცხოვრების შეფასებებს ბიბლიოთეკა მეცნიერებს ... გახლით ჩვენი მეოთხეული!

სოფელ ქვემო გომში ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა მიმდინარეობს — გვ2.

ერთაწმინდაში — გვ3.

საბრძოლო ხელოვნებათა კლუბი და კოვიდური ზამთარი — გვ8.

ვეტერანები სამზეოდან ჩუმად მიდიან ... — გვ8.

ბავშვთა ინტერესები დაცულია? — გვ6.

მოულოდნელი თუ აუხსნელი? — გვ3.

აწმყოს მკვიდრი საბიჭვილი — გვ12.

სასმელი წყალი სოფელ თეძმისხევს — გვ3.

ინსწავლე დასაქმებისთვის — გვ2.

ჩვენი „გენერალი„ საქართველოს საუკეთესო 8 გუნდშია — გვ8.

ყველა წვიერი — გვ10.

კასპის სამუსიკო სკოლის სრული რეაბილიტაცია — გვ2.

ჩვენებურები საქართველოს დაპყრობის წინააღმდეგ — გვ11.

ეყრდნობიან გახანშვილიც შვილიშვილი — გვ11.

ოთხმოცდამეათე წელი - თქვენთან ერთად! — გვ3.

“ათეული წერტილი*

(ნაწილი მეორე)

ვინ ვცდილობ — გვ5.

17-წლიანების წინასასეზონო გამარჯვება — გვ9.

გაბედულად გაბრიელი „ახალი განთიადი„!

კალენდარი 2021 წელი

ᲡᲝᲤᲔᲚ ᲥᲕᲔᲛᲝ ᲒᲝᲛᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო გომში ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა მიმდინარეობს.

150 მოსწავლეზე გათვლილი საგანმანათლებლო დაწესებულება თანამედროვე, უახლესი სტანდარტებით შენდება და მიმდინარე წელს დასრულდება.

13 საკლასო ოთახის გარდა, მოეწყობა ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, წიგნსაცავი, ქიმის კაბინეტი, მანდატურის ოთახი და ლიფტი. ასევე, მოეწყობა სკოლის ეზო და ღია სპორტული მოედანი. შენობა ადაპტირებული იქნება შშმ პირთათვის.

სამუშაოების მიმდინარეობას შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე სიმონ გულედანი და კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე გაეცნენ. „ქვემო გომის მოქმედი სკოლა 1926 წელსაა აშენებული და რეაბილიტაციას აღარ

დაექვემდებარა. გაუმჯობესებული საგანმანათლებლო დაწესებულება კი ხელს შეუწყობს როგორც მოსწავლეებისთვის, ისე პედაგოგებისთვის შესაბამისი პირობების შექმნას. აღსანიშნავია, რომ ახალი სკოლა სამი სოფლის მოსწავლეებს მოემსახურება" - აღნიშნა სიმონ გულედანმა.

სამშენებლო სამუშაოები საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ხორციელდება და მისი ღირებულება 2 360 000 ლარია.

ᲙᲐᲡᲞᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲡᲘᲙᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ

კასპში სამუსიკო სკოლის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ თავის მოადგილეებთან ერთად დაათვალიერა.

შენობაში უკვე შეიცვალა სასმელი წყლის და საკანალიზაციო ქსელის გაყვანილობები, მოეწყო სველი წერტილები, სახურავი, ფანჯრები, ცენტრალური გათბობა. ამჟამად შიდა სამუშაოები მიმდინარეობს. შენობის ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომი იქნება შშმ პირთათვის (პანდუსი, სველი წერტილები).

სარეაბილიტაციო სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "აგრომშენსერვისი" ახორციელებს და მისი ღირებულება 555 291 ლარია.

პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება, შესრულებული სამუშაოების გარანტია კი 3 წელია. პროექტი გარდამავალია, დაიწყო 2020 წელს და 2021 წელს დასრულდება.

კასპში სამუსიკო სკოლა 1961 წელს გაიხსნა, შენობას ათეული წლებია კაპიტალური შეკეთების სამუშაოები არ ჩასტარებია. სკოლაში დღეს 335 მოსწავლე სწავლობს. მუსიკას, ხელოვნებას და ხატვას 18 პედაგოგი ასწავლის.

სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ გაუმჯობესდება სასწავლო პროცესის პირობები, შესაბამისად სწავლის ხარისხიც, - აღნიშნა ვახტანგ მაისურაძემ.

ᲘᲡᲬᲐᲕᲚᲔ ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

კასპის მუნიციპალიტეტის მერიაში "განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის" (EDEC) შიდა ქართლის რეგიონის წარმომადგენლებმა ნინო მეგრელიშვილმა და თამარ ბიგანიშვილმა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ახალი პროექტი "სწავლა, წვრთნა, მიღწევა და კავშირის დამყარება დასაქმებისთვის (ისწავლე დასაქმებისთვის!)" წარმოადგინეს.

ცენტრი პროექტს პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად საქართველოს ექვს რეგიონში, მათ შორის შიდა ქართლშიც ახორციელებს. პროექტი მიზნად ისახავს სამუშაოს მაძიებლებისათვის სწავლის, კარიერული ორიენტაციისა და დასაქმების სერვისების განვითარებას და ხელმისაწვდომობის გაზრდას, ასევე კერძო-საჯარო პარტნიორობის განვითარებას, შრომის ბაზრის საჭიროებების შეფასებას, მოთხოვნაზე ორიენტირებული განათლების პროგრამების შემუშავებას, სამუშაოზე მიმაგრებული სწავლებისა და სტაჟირების პროგრამების განხორციელებას.

პროექტი სამწლიანია და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რომელიც პროექტით გათვალისწინებულ შერჩევის კრიტერიუმებს დააკმაყ

დასარული გვ3.

*„ᲮᲕᲚᲝᲠᲘ ᲒᲕᲜᲘᲐᲕᲚᲘ“ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲗᲐ ᲨᲠᲘᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲗᲐ ᲨᲠᲘᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲑᲣ

ისწავლე დასაქმებისთვის

დასასრული.

ოფილებს.

პროექტის წარდგენას დაესწრნენ მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე თამაზ ტატანაშვილი, მერიის ეკონომიკური განვითარების, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, განათლების, კულტურისა და სპორტის, ადმინისტრაციული სამსახურების წარმომადგენლები.

განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრი 2008 წლის 10 იანვარს დაფუძნდა. ორგანიზაცია ოთხი მიმართულებით მუშაობს: სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, ბავშვთა დაცვა, ეკონომიკური განვითარება და განათლება. ცენტრის ოთხი პროგრამული მიმართულების ფარგლებში სხვადასხვა პროექტი ხორციელდება, რომლებიც ორგანიზაციის მისიის და პროგრამული მიზნების მიღწევას ემსახურება.

მერიასა და ცენტრს შორის დაისახა სამომავლო ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივები. ორგანიზაციის შესახებ ამომწურავ ინფორმაციას შეგიძლიათ გაეცნოთ მათ გვერდზე https://edec.ge/newsitem/610.

დაუკავშირდით დასაქმების კონსულტანტებს:
ნინო მეგრელიშვილი 598 613 058;
ირმა ბიგანიშვილი 598 150 733.

წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე

წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით კასპის მუნიციპალიტეტის მთავარი ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში შეხვედრა გაიმართა.

გაიხსენეს დიდი ქართველი მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი და გაეცნენ მისი შემოქმედების ილუსტრირებულ ალბომს.

წაიკითხეს ბიოგრაფია და ყველა იმ ნამუშევრის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რაც მოქანდაკემ შექმნა.

წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე პოპულარული ღონისძიებაა და მას ყოველწლიურად 100-ზე მეტ ქვეყანაში აღნიშნავენ, ღონისძიებაში მონაწილეთა რაოდენობა 31 მილიონამდე აღწევს.

საქართველოში წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე, უკვე მეექვსედ, მიმდინარე წლის 5 თებერვალს ჩატარდა.

წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღის თარიღი საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის პარტნიორმა ორგანიზაცია "Lit-world" -მა გამოაცხადა.

მნიშვნელოვანია ამ დღის მასშტაბურობა - წიგნის ავტორების, უნივერსიტეტების, სკოლების, წიგნის მაღაზიებისა და კულტურის ცენტრების ჩართულობა, რათა ხელი შეეწყოს საქართველოში წიგნის პოპულარიზაციას.

წიგნის საჯაროდ კითხვის დღე საქართველოში წიგნთან დაკავშირებულ პროცესებს უფრო მრავალფეროვანს და საინტერესოს გახდის.

კასპში, ფარნავაზის ქუჩაზე

კასპში, ფარნავაზის ქუჩაზე გრძელდება გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

პროექტით გათვალისწინებულია გზის საფუძვლის, სანიაღვრე ჭების, ბაზალტის ახალი ბორდიურების, ასფალტ-ბეტონის საფარის და სტანდარტული საგზაო ნიშნების მოწყობა. ქუჩაზე ამჟამად მიწისქვეშა კომუნიკაციების სამუშაოები მიმდინარეობს.

გზის რეაბილიტაციას უსფ "შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობა მშენებლობა კასპიისპირეთის სამმართველო" ახორციელებს. მშენებლობაზე 510 677 ლარი დაიხარჯება. პროექტი გარდამავალია, დაიწყო 2020 წელს და მიმდინარე წელს დასრულდება.

სამუშაოების დასრულების შემდეგ მოსახლეობა კეთილმოწყობილი ქუჩით ისარგებლებს.

რაც შეეხება მძიმეწონიან ცემენტმზიდ ა/მანქანებს, ისინი შემოვლითი გზით ისარგებლებენ, რომელსაც "ჰაიდელბერგცემენტის" კასპის ქარხანა აშენებს.

სასმელი წყალი სოფელ თეძმისხევს

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თეძმისხევში სასმელი წყლის მიწოდების გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული სამუშაოები დასრულდა.

პროექტით გათვალისწინებული იყო წყალმიმღები ნაგებობის, რკინა-ბეტონის წყალშემკრების, საქლორატორო შენობის და წყალსადენის მაგისტრალის მოწყობა. სამუშაოები ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულმა შპს "ჰიდროემ"-მა აწარმოვა. სამუშაოების ღირებულება 266 643 ლარია და რეგიონალური განვითარების პროექტების ფონდიდან დაფინანსდა. მოსახლეობა სასმელ წყალს გაზრდილი დებეტით მიიღებს.

ერთაწმინდაში

სოფელ ერთაწმინდაში წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები დასრულების პროცესშია. აშენდა 300 მ3 რკ/ბეტონის რეზერვუარი, მოეწყო და შემოიღობა საქლორატოროს შენობა, ასევე განთავსდა ტექნოლოგიური დანადგარები. პროექტს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "ჰიდრო-ემ"-ი ახორციელებს, რომლის ღირებულება 302 439 ლარია.

განხორციელებული სამუშაოები უზრუნველყოფს სამოცამდე ოჯახის წყალმომარაგებას. სასმელი წყლის სამუშაოები ამჟამად სოფელ დოესში, თეძმისხევში, მიქელწყაროსა და აღაიანშიც მიმდინარეობს - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

მოულოდნელი თუ აუხსნელი?

ადამიანი სიცოცხლის განმავლობაში მრავალი უცნაური, მოულოდნელი თუ აუხსნელი მოვლენის მოწმე ხდება. უმეტეს შემთხვევაში არ ვიცით, ვის გავუზიაროთ ნანახი, ალბათ იმის შიშით, რომ შეიძლება არასწორად გაგვიგონ.

თუ ყოფილხართ მომსწრე აუხსნელი, უცნაური, შეუცნობელი მოვლენისა, შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ამ მოვლენის ამსახველი მასალა. მისი გაცნობისა და შესწავლის შემდეგ, თუ იგი საინტერესო იქნება მკითხველისათვის, გამოქვეყნდება გაზეთში რუბრიკით ,,შეუცნობელი,, საჭიროების შემთხვევაში შეგვიძლია თქვენს მიერ შემოთავაზებული წერილი გადავცეთ ჟურნალ ,,ფენომენს,, და, შესაბამისად, ავტორი გაეცნოს ექსპერტთა შეფასებებსა თუ კომენტარებს.

ჩვენს რთულ და უჩვეულო დროში ჯერ ისევ პანდემიის ნაკარნახები წესებით ვცხოვრობთ. ეს ძალიან რთული სინამდვილეა, როცა ზრუნვის საგანია მთელი პლანეტის მოსახლეობა. კოვიდთან ერთად ზედმიწევნით კარგად ვიგრძენით ექიმების როლი. ისინი დღენიადაგ მუშაობენ ჩვენთვის, უფრო სწორად ჩვენი სიცოცხლის შესანარჩუნებლად.

ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში ყოველ დღე, დილიდან დღის 2 საათამდე, ტარდება ტესტირება.

ტესტირებას ატარებენ ნანა ნონიაშვილი, ალექსანდრე დარახველიძე, ნინო ნინოშვილი. ისინი ყოველდღე ცეცხლის წინა ხაზზე კი არა, კოვიდის გავრცელების ეპიცენტრში მუშაობენ და იცავენ ჩვენს ჯანმრთელობას. სარისკო და რთულ დღეებში გვინდა გითხრათ, რომ მადლობლები ვართ თქვენი თავდადებისთვის, ზრუნვისთვის. ... და თუ ცხოვრება მართლა მადლის შეგროვებაა, იმედია, მრავალგზის გადაგიხდით შემოქმედი.

მადლობა კასპის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს!

ჩვენი გაზეთის სტუმარია ნანა ნონიაშვილი ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი:

- მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, პირველ რიგში, ვუსურვებთ ჯანმრთელობას და კიდევ ერთხელ მინდა, მივაწოდო ინფორმაცია კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის და იმ პრევენციული ღონისძიებების შესახებ, რომელიც თავიდან აგვაცილებს დაავადების გავრცელებას.

ყველას ებადება კითხვა, თუ რა ახასიათებს კოვიდ-19-ს, რეალობაში რა სიმპტომებია დამახასიათებელი?

- კოვიდ-19-ისთვის დამახასიათებელია სხეულის ტემპერატურის მომატება, ხველა, ყელის ტკივილი, ყნოსვის ან გემოს შეგრძნების დაკარგვა, თავისა და კუნთების ტკივილი.

- ვინ ითვლება ინფიცირებულად?

- ინფიცირებულად ითვლება ადამიანი, რომელსაც ინფექცია დაუდასტურდა ლაბორატორიაში ჩატარებული კვლევით (პსრ ტესტით) ან სწრაფი ანტიგენტესტით.

- როგორ უნდა მოვიქცე სიმპტომების აღმოჩენის შემთხვევაში? თუ არ მქონია არავითარი შეხება კოვიდ-ინფიცირებულთან, მაგრამ მაინც გამომივლინდა სიმპტომები?

- დაუკავშირდით თქვენი ოჯახის ექიმს. ხველება და ტემპერატურის მატება ახასიათებს სხვა ვირუსულ ინფექციებსაც. ამიტომ, თუ ახველებთ, გაქვთ სურდო ან ტემპერატურა, არ ნიშნავს, რომ აუცილებლად კოვიდინფიცირებული ხართ.

მიუხედავად ამისა, შესაძლებლობის ფარგლებში, შეეცადეთ რამდენიმე დღე გაატაროთ იზოლაციაში. როგორც წესი, სხვა ვირუსული ინფექციით გამოწვეული სიმპტომები სტანდარტული მიმდინარეობისას 3-5 დღეში ქრება.

- თუ მქონდა შეხება ინფიცირებულთან და ამის შემდგომ გამომივლინდა სიმპტომები?

- გადადით თვითიზოლაციაში 12 დღის განმავლობაში. დაუკავშირდით 112-ს, ან პირად ოჯახის ექიმს, რომელიც დიაგნოზის დადასტურების მიზნით გადაგამისამართებთ ტესტირებაზე.

- რა სახის კონტაქტი ითვლება ინფიცირებისთვის ახლო კონტაქტად?

- მაღალი რისკის კონტაქტად ითვლება პირი, რომელსაც სიმპტომების გაჩენამდე ან ლაბორატორიული ნიმუშის აღებამდე 48 საათის განმავლობაში:

ჰქონდა პირდაპირი შეხება დადასტურებულ შემთხვევასთან 1 მეტრზე ნაკლები დისტანციით 15 წუთზე მეტი დროით;

ჰქონდა ფიზიკური კონტაქტი კოვიდ-19-ის დადასტურებულ შემთხვევასთან;

ჰქონდა დაუცველი უშუალო კონტაქტი კორონავირუსით ინფიცირებულის მიერ გამოყოფილ სეკრეტთან (მაგ: ხველის ან ცემინებისას) რომელიც დახურულ სივრცეში იმყოფებოდა (მაგ. სახლი, საკლასო ოთახი, შეხვედრების ოთახი, საავადმყოფოს მო-

საცდელი ოთახი და ა.შ.) დადასტურებულ შემთხვევასთან 15 წუთზე მეტი ხნის განმავლობაში;

- როგორ მოვიქცე, თუ ჩემთან ახლო კონტაქტში მყოფ პირს დაუდგინდა კოვიდი?

- გადადით თვითიზოლაციაში.

დაუკავშირდით თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობას, თუ აღმოაჩენთ, რომ გაგიჩნდათ დამახასიათებელი სიმპტომები, დაუკავშირდით 112-ს

ან ოჯახის პირად ექიმს, რის შემდეგაც მოხდება თქვენი გადამისამართება ტესტირებაზე.

თუ დაგიდასტურდებათ კოვიდი, ექიმი თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სიმპტომების შესაბამისად მიიღებს ბინაზე მკურნალობის ან ჰოსპიტალიზაციის გადაწყვეტილებას.

თუ პასუხი უარყოფითია, განაგრძობთ თვითიზოლაციის წესების დაცვას.

- რას გულისხმობს თვითიზოლაცია, როდის უნდა დავიწყო და დავასრულო თვითიზოლაცია?

- არ გახვიდეთ გარეთ, არ მიიღოთ სტუმრები, ოჯახის წევრებთან ფიზიკური კონტაქტი იქონიეთ მხოლოდ აუცილებელი საჭიროების დროს, რაც შესაძლებელია მცირე დროით და ფიზიკური დისტანციის დაცვით, პირბადის აუცილებელი გამოყენებით კონტაქტში მყოფი ყველა პირის მიერ. იქონიეთ პირადი ჭურჭელი, თეთრეული და ჰიგიენის ნივთები.

- როგორ ხდება კორონავირუსის გადაცემა?

- წვეთოვანი და კონტაქტური გზით: მაგალითად, ხველის ან ცემინების დროს, ხელის ჩამორთმევით, სახესა და თვალთან დაუბანელი ხელის შეხებით, დაავადებულ ადამიანთან მჭიდრო კონტაქტით.

- დაავადების რა ეტაპიდან იწყება ინფიცირებული ადამიანის გადამდებლობა?

- ადამიანი გადამდები ხდება სიმპტომების დაწყებამდე 2 დღით (48 საათით) ადრე.

- როგორ დავიცვა თავი კორონა ვირუსისგან?

- მოერიდეთ ხალხმრავალ ადგილებს, გაიკეთეთ პირბადე დახურულ სივრცეებში, ხალხმრავალ ადგილებში და იმ ადამიანებთან ახლოს კონტაქტის დროს, რომლებსაც აქვთ კორონავირუსისთვის დამახასიათებელი სიმპტომები, დაიცავით 2-მეტრიანი ფიზიკური დისტანცია (პირბადის გამოყენების შემთხვევაშიც), ხშირად დაიბანეთ ხელი საპნითა და წყლით (40-60 წამის განმავლობაში) ან ალკოჰოლის შემცველი 70%-იანი ხსნარით (20-40 წამი), შესაძლებლობის ფარგლებში შეეცადეთ არ გადაადგილდეთ საზოგადოებრივი ტრანსპორტით.

- როგორ მოვიქცე თუ აღმოვაჩინე, რომ ინფიცირებულთან ვიყავი ახლო კონტაქტში?

- გადავდივართ თვითიზოლაციის რეჟიმში 12 დღის განმავლობაში (კონტაქტირებული ადამიანის დიაგნოზის დადგენიდან რაც შეიძლება მალე).

- როგორ მოვიქცე თუ ოჯახის წევრს დაუდგინდა კორონა ვირუსი?

- უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ინფიცირებულთან ერთად სახლში მცხოვრები ოჯახის ყველა წევრი დარჩეს თვითიზოლაციაში. თუ თქვენი ოჯახის წევრი ექიმის გადაწყვეტილებით გადის ბინაზე მკურნალობას, აუცილებელია დაიცვათ რამდენიმე წესი, რათა შეამციროთ ვირუსის გადაცემის საფრთხე:

ხშირად გაანიავეთ ოთახი გარე სივრცეში გამავალი ფანჯრის, კარის გაღებით.

ინფიცირებულთან კონტაქტის აუცილებლობისას ყველა წევრმა უნდა გაიკეთოს პირბადე. იზოლაციაში მყოფ ოჯახის წევრთან აუცილებლობის გარდა ფიზიკური კონტაქტი მაქსიმალურად შეზღუდეთ. საეჭვო ინფიცირებული პირი სარგებლობს საკუთარი ჭურჭლით და საყოფაცხოვრებო ნივთებით.

თუ შესაძლებელია, საეჭვო ინფიცირებული პირი სარგებლობს ცალკე აბაზანით და სანჰიგიენური კვანძით, სხვა შემთხვევაში საერთო საპირფარეშოს მოხმარების შემდეგ ინფიცირებულთან შეხებაში მყოფი ზედაპირები უნდა გაიწმინდოს სა-

დეზინფექციო ხსნარით.

საერთო სივრცეში ზედაპირებს რაც შეიძლება ხშირად ვამუშავებთ სპირტიანი (60-80%) ხსნარით.

- ვაქცინაცია?

- პირველ ეტაპზე და გამომდინარე ვაქცინის ტიპიდან, კორონავირუსის საწინააღმდეგო აცრები ჩატარდება ჯერ ჯანდაცვის სექტორისთვის და ამის შემდეგ მოხდება სხვა პრიორიტეტული ჯგუფების მოცვა.

მეორე და მესამე ეტაპზე ვაქცინაციის გაფართოება მოიცავს, როგორც იმუნიზაციაში მონაწილე, ისე არმონაწილე დაწესებულებების და სამიზნე მოსახლეობის აცრას გაფართოებული ქსელით.

- რა გაკეთდა კოვიდის პრევენციისთვის კასპის მუნიციპალიტეტში?

- 2020 წლის განმავლობაში ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ კასპის მუნიციპალიტეტში ჩატარებულია პჯრ მეთოდით 9276, სწრაფი ანტიგენტესტით 2601 კვლევა, აქედან დადასტურებული შემთხვევა იყო 1567, სულ რაიონში აღრიცხული იყო დაავადების 2343 შემთხვევა, განკურნებულია 2338. მიმდინარეობდა და დღესაც აქტიურად მიმდინარეობს უსიმპტომო თუ სიმპტომიანი პაციენტების, სამედიცინო პერსონალის და სხვა რისკჯგუფების გეგმიური ტესტირებები, 2021 წლის იანვრიდან სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებულ ჯგუფებს დაემატა ტაქსის მძღოლები, ღია და დახურული ბაზრობის თანამშრომლები, რელიგიის მსახურები, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მომუშავე პირები.

ჩვენს მოსახლეობას, მინდა, კიდევ ერთხელ მივმართო თხოვნით, დავიცვათ ყველა მოწოდებული რეგულაცია, არ დავივიწყოთ, რომ კოვიდი არის ჩვენს გვერდით და ყოველთვის ჩვენი სიფხიზლის მოდუნებას ელოდება, გავუფრთხილდეთ და გვიყვარდეს ერთმანეთი.

"ათეოლის წერილი*

(ნაწილი მეორე)

ცრიაგი ტაროსით შემოვიდა კასპში გიორგობისთვე, მაგრამ სულაც ვერ შეუშალა ხელი საზეიმო განწყობას. 1931 წლის 7 ნოემბერი იდგა. ქვეყანა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-14 წლისთავს აღნიშნავდა. სადღესასწაულოდ იყო მორთული დაბა და სოფლები. ქუჩებში გამოეფინათ ლოზუნგები და ტრანსპარანტები.

საზეიმო სხდომა ცემენტის ქარხნის კულტურის სახლში გაიმართა. დაწყებამდე წუთები იყო დარჩენილი, როცა დარბაზში ახალი გაზეთები შემოიტანეს და დამსწრე საზოგადოებას, ჯერაც საღებავშეუმშრალი ფურცლები, საჩუქრად ჩამოურიგეს. დიდი იყო მათი გაოცება, როცა ნახეს, რომ ხელში რაიონული გაზეთ "კომუნიზმის-აკენ-"ის პირველი ნომერი ეჭირათ.

იმ დღიდან გამოდის გაზეთი, რომლის სახელწოდება, დღევანდელი გადასახედიდან მეტად არაორდინალური, მაგრამ, იმ დროისთვის საჭირო და იდეოლოგიურად მიზანმიმართული იყო.

გაზეთი "კომუნიზმის" სავალ გზაზე კი გავიდა, მაგრამ, მეტად მწირი მატერიალურ - ტექნიკური ბაზით და არც თუ კვალიფიციური კადრებით. მუშაობა უჭირდათ. რედაქციას რაიკომის შენობაში, ერთი პატარა ოთახი გამოუყვეს, სტამბის მომსახურებისთვის, ისევ "კომუნისტის" რედაქციას მიმართეს და ეს გრძელდებოდა მანამ, სანამ რაიონმა თავად არ შეძლო საბეჭდი დაზგის და ლინოტიპის შეძენა, მერე კი, საკუთარი სტამბის მოწყობა.

ჟურნალისტური კადრების მომზადებაში დახმარებას უწევდა გაზეთ "მუშის" რედაქცია, მათი თანამშრომლების მონაწილეობით მზადდებოდა გაზეთის ნომრები, იხაზებოდა მაკეტები, კეთდებოდა კორექტურა...

შრომამ და მონდომებამ შედეგი გამოიღო. გაზეთის პირველივე ნომრიდან ნათელი გახდა, თუ როგორი იქნებოდა მისი სახე.

რაიონში, ფართოდ იყო გაშლილი საკოლმეურნეო, სასკოლო, კულტურული მშენებლობები, მიმდინარეობდა სახსრების მობილიზაცია, საშემოდგომო თესვის კამპანია, ვითარდებოდა მრეწველობა, მეცხოველეობა...

გაზეთში სწორედ ამ თემებზე ნახავდით წერილებს, აქ წაიკითხავდით საზღვარგარეთის ამბებს, უხვად იყო მასალები კასპის ცემენტის ქარხნის მუშაობაზე, მუშათა პირობების გაუმჯობესებაზე, რკინიგზის ტრანსპორტის საქმიანობაზე...

რაიონის ცხოვრებაში არ იყო თითქმის არც ერთი მხარე - ეკონომიკური, პოლიტიკური, იდეოლოგიური თუ კულტურული, რომელსაც გაზეთი არ ეხებოდა.

და აი, მიილია გიორგობის თვე, რაიონის მშრომელებმა უკვე ხუთჯერ მიიღეს გაზეთი "კომუნიზმისაკენ", დადგა დაამტკიცეს კიდეც გაზეთის მუშაობის ღონისძიებები...

გაზეთის არსებობის მანძილზე, რაიკომში, უამრავი ბიუროა ჩატარებული, რომლებსაც ასეთი დანართებიც ახლავს. ისინი ათასობით არიან დავანებული არქივების საცავებში, მაგრამ, ჩვენ სწორედ 1931 წლის 17 დეკემბრის ბიუროს სხდომა და აქ მიღებული 4 დანართი გვაინტერესებს. ვნახოთ, რა ამოცანები დაუსახეს ახლად ფეხადგმულ გაზეთს, როგორი იყო რედაქციის თავისუფლების ხარისხი, რას ითხოვდნენ მათგან...

მაშ, ასე, დანართი 4: დამტკიცებულია კპ (ბ) კასპის რაიკომის ბიუროს სხდომის ოქმი 64 -ით, შემდგარი 17 დეკემბერს 1931 წელს, რაიონულ ნაბეჭდ გაზეთ "კომუნიზმისაკენ" მუშაობის გაძლიერების შესახებ. უახლოეს ხანში რაიონული გაზეთის "კომუნიზმისაკენ" მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესების მიზნით საჭიროდ იქნეს ცნობილი:

1. რაიონულმა გაზეთმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მიმდინარე სამეურნეო დრო, რაიკომში მოეწყოთ გაზეთის განხილვა და 17 დეკემბრის ბიუროს სხდომაზე, მკაცრი მსჯელობის შემდეგ, პოლიტიკური კამპანიების წარმატებით გატარების საქმეს, სახსრების მობილიზაცია, შემოდგომის თესვის კამპანია, საკოლმეურნეო მშენებლობის განმტკიცება, ცემქარხნის სანფინგეგმების შესრულება, სასკოლო და კულტურული მშენებლობა რაიონში, მეცხოველეობის განვითარება და სხვა. ამ ამოცანების გადასაჭრელად გაზეთმა ბოლშევიკურად დარაზმოს ყველა ორგანიზაციები, პარტკომკავშირის უჯრედები, საბჭოს აქტივი, დელეგატი ქალები და მუშგლეხკორთა მასები.

2. რედაქციამ სასწრაფოდ ჩამოაყალიბოს მსხვილ კოლმეურნეობებში, კომუნებისა და სას. საბჭოების ცენტრებში და სოფლებში მუშგლეხკორთა დამკვრელი ბრიგადები და საგუშაგოები და გაუწიოს მათ სისტემატური ხელმძღვანელობა მათი ბიუროების მოწვევით და სხვა.

3. გაზეთის რედაქციამ დაუყოვნებლივ გააძლიეროს ბრძოლა იდეოლოგიურ ფრონტზე დიდმპყრობლური შოვინიზმისა, როგორც მთავარ საშიშროებას და ადგილობრივ ნაციონალიზმის ყოველგვარ გადახრების და გამოხატულების და მათდამი შემარიგებლობის განწყობილების წინააღმდეგ. გაზეთმა ასეთივე ბრძოლა უნდა აწარმოოს პარტიის გენერალური ხაზიდან, როგორც მემარჯვენე გადახრის ისე მომემარცხენეო ნახტომების და მათდამი შემარიგებლების წინააღმდეგ, მათი ადგილზედ გაბედულად გამომჟღავნების საფუძველზედ.

4. რაიკომი ავალდებულებს რაიონის პ/მგებელ მუშაკებს, კომუნისტებს, სისტემატურად მიაწოდონ გაზეთის რედაქციას მასალები ცალკე საკითხებზედ.

5. დაევალოს რაიონის საგაზეთო ბიუროს და პარტუჯრედებს მასიური მუშაობის გაშლით გაავრცელონ მშრომელ მოსახლეობაში, განსაკუთრებით ცემქარხანაში და კოლმეურნეობებში გაზეთი "კომუნიზმისაკენ" სამი ათასი (3000) ეგზემპლარის რაოდენობით...

(პარტარქივის ფონდი 62, საქმე 22, აღწ. 1, ფურც. 63).

კმარა. აქ დავსვათ მრავალწერტილი, ოქმი მეტად ვრცელია და არ მინდა ამ დაუხვეწავი, ჩიქორთული ენით დაწერილი დანართით გადავლალო დღევანდელი მკითხველი. ისედაც ყველაფერი გასაგებია და ნათელი. ამოცანა დასახულია: ბრძოლა უნდა აწარმოოს პარტიის გენერალური ხაზიდან როგორც მემარჯვენე გადახრის ისე მომემარცხენეო ნახტომების და მათდამი შემარიგებლების წინააღმდეგ... მეტად საშიში დავალებაა... რა გვეთქმის, კაენის აღზევების წლებია (ცნობილი პოეტის სიტყვებია)...

ბიუროს ამ სხდომას, ისევე, როგორც სხვა დანარჩენს, ესწრებიან რაიკომის წევრებიც, ისინი სიტყვას ამბობენ, აზრს გამოთქვამენ... გულისყურით უსმენენ მომხსენებელს ცემენტის ქარხნის დირექტორი ალექსანდრე ქებაძე, რაიონის ახალგაზრდობის წინამძღოლი მიხეილ ბეგიაშვილი, იმ დროისთვის შრომაში დაწინაურებული, ცნობილი ადამიანები: ლუკა კალანდაძე, მიშა უზნაძე, გოგი ქსოვრელი, ესტატე ფარცხალაძე, ალექსანდრე ხაჩიძე, არტემ მესროფაშვილი და სხვები.

გაგრძელება გვ-9.

ბავშვთა ინტერესები დაცულია!

მსოფლიო ცივილიზაცია, კარგა ხანია, შეთანხმდა, რომ ბავშვებსა და მოხუცებზე ზრუნვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სამყაროს განვითარების გზაზე. მათზე ზრუნვა ნებისმიერი სახელმწიფო მექანიზმის უმთავრესი რგოლია. თუ მოვლილი გყავს ბავშვები, ჩათვალე, რომ უკვე ზრუნავ ქვეყნის მომავალზე. ბავშვებზე ზრუნვა კი თავისთავად მრავალ ქვეპუნქტს მოიცავს, დაწყებული უსაფრთხო საწოვარიდან ეკოლოგიურად სუფთა საკვებამდე.

კოვიდ-19 პანდემიის პირობებში ბაღების ფუნქციონირებამ არაორდინალური მიმართულება მიიღო. როგორ ზრუნავს კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება აღსაზრდელებზე, რა ვითარებაა ბაღებში, რამდენად დაცულია ბავშვების ინტერესები, როგორია სამომავლო პერსპექტივა?

მანანა ხვთისიაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი:

- გაერთიანებაში შემოდის 26 საბავშვო ბაღი, აქედან ქ. კასპის მასშტაბით – 5 (რიგითი ნუმერაციის მიხედვით), ხოლო 21 – სოფლებში (ზემო ხანდაკში, სამთავისში, ლამისყანაში, თეზში, კავთისხევში, ახალქალაქში (2), ქვემო ჭალაში, ოკამში, დოესში, ხოვლეში, თელიანში, სასირეთში, მეტეხში, გრაკალში, ქვემო გომში, ახალციხეში, ეზატში, ფერმაში, აღაიანში, სადგ. მეტეხში).

2020 წლისათვის აღსაზრდელთა რაოდენობა შეადგენდა 1568-ს. შარშანდელი მარტის დამდეგიდანვე სააღმზრდელო პროცესი შეწყდა, საყოველთაოდ ცნობილი მიზეზის გამო, რაც უკავშირდება მსოფლიო მასშტაბით გავრცელებულ პანდემიას. ამის გამო ერთგვარი გამოსავალი იყო ის, რომ აპრილში, მაისსა და ივნისში 25-ლარიანი სასურსათო პაკეტი გაიცა. ასე მოხდა ნოემბერ-დეკემბერშიც, რადგანაც ოქტომბრის და ნოემბრის მცირე მონაკვეთში პროცესი განახლდა და იძულებით ისევ გაჩერდა.

როგორია საერთო მდგომარეობა? – ახლა ბავშვთა რაოდენობა შემცირებულია – 1433-მდე. მიმდინარე თებერვალში კვლავ გაიცემა 25-ლარიანი პაკეტი. ყურადღება გადატანილია, ცხადია, პირველადი მოხმარების პროდუქტებზე, როგორიცაა: ბურღულეული, რძის პროდუქტები, ხილი, ცხიმი.

მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაღების არსებობა დამოკიდებულია ადგილობრივ თვითმმართველობაზე. საგანგებო ყურადღებითაა გარემოსილი ადგილებზე კვების ბლოკის (სამზარეულო, დამხმარე სათავსოები და ა. შ.) გამართულობა. ისინი ყველა საბავშვო ბაღში გარემონტებულია და პასუხობს ფუნქციონირების ყველა პირობას, თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნებს.

მიმდინარე პერიოდისათვის საბავშვო ბაღებში შემოღებულია 3-ჯერადი კვება: საუზმე, სადილი და სამხარი, ხოლო ახალი დადგენილებით საუზმესა და სადილს შორის ეძლევათ წახემსება (ორცხობილა, ვაფლი, ვაშლი, ბანანი და ა.შ.).

პატარების კვებით სასიცოცხლო უზრუნველყოფა განპირობებული უნდა იყოს მრავალფეროვნებით. ასეცაა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამჟამად კვების პაკეტი განისაზღვრება 25 ლარით. მენიუში მონაცვლეობს: პური, მარცვლეული, ხილი, ბოსტნეული, რძე და მისი პროდუქტები, საქონლისა და ქათმის ხორცი, თევზი, კვერცხი და ა.შ.

საკვები პროდუქტებით გვამარაგებენ ტენდერებში გამარჯვებული მეწარმეები. შემოტანის პროცესში, ცხადია, ყურადღება გამახვილებულია ხარისხზე, მოხმარებაგამოყენების ვადებზე, ანუ, ყველა საჭიროებაზე, რასაც ითხოვს სურსათის ეროვნული სააგენტო.

დარწმუნებული ვართ, ჩვენი აღსაზრდელების მშობლებს საკვები პროდუქტების ხარისხიანობაზე სამდურავი არ ეთქმით, პირიქით, ბევრი მადლიერი გვყავს.

მზიური ჭაღიაშვილი, ქ. კასპის №1 საბავშვო ბაღის გამგე:

- ჩვენთან 102 აღსაზრდელი ირიცხება.

ახალი სააღმზრდელო პროცესი (2020-21) დაიწყო ოქტომბერში. ბაღში მომზადდა როგორც სანიტარული, ისე სააღმზრდელო გარემო. ნამდვილად გადამეტებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ჩვენს ბავშვებს შესანიშნავი პირობები გააჩნიათ.

შექმნილი საყოველთაო პანდემვითარებიდან გამომდინარე, ახლა საბავშვო ბაღი დაკეტილია. ამ იძულებითი "შესვენების" განმავლობაში აღსაზრდელებისათვის კუთვნილი ნორმის განაწილება ხდება, ასე ვთქვათ, "გატანის სერვისით".

ასეთმა პროგრამულმა ფორმამ ხელი შეუწყო ჩვენი აღსაზრდელებისა და მათი ოჯახების წევრთა ჯანმრთელობისა და ნაწილობრივ სოციალურ უზრუნველყოფას. ასეთი გადაწყვეტილებით კმაყოფილი არიან მშობლებიცა და პატარებიც, ამით ხომ მათთან შენარჩუნებულია ერთგვარი "დაუსწრებელი და უხილავი კავშირურთიერთობა".

იმედი გვაქვს, ბაღი მალე დაიწყებს ფუნქციონირებას, იქნებ ეს მარტიდანაც მოხდეს. ველოდებით პატარების დაბრუნებას, რომლებსაც ძალიან, ძალიან მოენატრათ ბაღის თბილი და საყვარელი გარემო.

ჩვენ მალე დავამარცხებთ პანდემიას. მაშინ ისევ ერთად ვიქნებით.



თამარ ხოკრიშვილი, ქ. კასპის №2 საბავშვო ბაღის გამგე:

- მსოფლიოს მასშტაბით კორონავირუსის პანდემიის გამო შექმნილი მომაკვდინებელი და საშიში სიტუაციიდან გამომდინარე, საქართველოში (და, ცხადია, კასპშიც) ყველა საბავშვო ბაღმა შეწყვიტა აღმზრდელობითი პროცესი.

კასპის მუნიციპალიტეტის მერიის, ასევე ადგილობრივი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების ერთობლივი გადაწყვეტილების საფუძველზე, 2020 წლის მარტიდან კასპის №2 საბავშვო ბაღის კოლექტივი გასცემს დაფასოებული საკვები პროდუქტის პაკეტს ჩვენთან რეგისტრირებული აღსაზრდელების ოჯახებისათვის. ალბათ, ბევრ მოქალაქეს დააინტერესებს, თუ რა სახისა და დასახელების პროდუქტი შედის პაკეტში: ზეთი, კარაქი, კვერცხი, ხაჭო, შესქელებული რძე, ხილფაფა, ნამცხვარი, მაკარონი, ვერმიშელი, მანანის ბურღული, წიწიბურა, ბრინჯი და შაქარი...

პროდუქტების გადაცემა-განაწილების მომენტში განუხრელად ვიცავთ "კოვიდ–19"-ის საპრევენციოდ დადგენილ რეგულაციებს და სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს, ცხადია, ორივე მხარის ინტერესებისათვის, როგორც ბაღის პერსონალისათვის, ისე მშობლებისათვის.

აღნიშნული პროექტი დღემდე წარმატებით ხორციელდება, რაც ჩვენი კოლექტივის უდიდესი ძალისხმევის შედეგია.

პროექტმა ნამდვილად გაამართლა, ამისი ყველაზე უტყუარი შეფასების დასტური ისაა, რომ აღსაზრდელთა მშობლები დიდ მადლიერებას გამოხატავენ.

კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება



ალექსანდრე ხუციშვილი — 70!

წლევანდელ 13 იანვარს დაბადებიდან (1951 წ.) 70 წლისთავი შეუსრულდა კასპელ ვეტერან მოჭიდავეს — ალექსანდრე ხუციშვილს:

— საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს;

— საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის (პრეზიდენტი — თამაზ გეგეშიძე) საპატიო სიგელის ადრესატს, ვინც 2019 წელს დაჯილდოვდა ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის;

— ვეტერან მოჭიდავეს, ვინც ჭაბუკობისა და ახალგაზრდობის წლებში წარმატებით გამოდიოდა რაიონის, საქართველოსა და საბჭოეთის მასშტაბის შეჯიბრებებში; თავისუფალი სტილის საჭიდაო სკოლის წარმომადგენელს, სპორტის ოსტატს, ასევე, ქართულ ჭიდაობასა და სამბოში;

— ეროვნული კატეგორიის მსაჯს;

— მშობლიურ სოფელ იგოეთში, სადაც არაერთი სახელოვანი მოჭიდავე დაფრთიანებულა, ქართული ჭიდაობის ტრადიციული, მემორიალური და სახელობითი უამრავი ტურნირისა და ღონისძიების მომწყობსა და ორგანიზატორს იმ წლებში, როცა ფიზკულტურის მეთოდისტად გარჯილობდა ოკმის ოდინდელ საბჭოთა მეურნეობაში;

— თავისი ამაგდარი და დაუვიწყარი ოსტატის, ლავრენტი კაციაშვილის — კასპის საჭიდაო სკოლის მესაძირკვლის — ჯერეთ შეგირდსა და შემდეგ მისივე საქმის გამგრძელებელს, ვინც მეგობარ-კოლეგა ზელიმხან (ილო) ილურიძესთან განუყრელი დუეტი შექმნა და ათწლეულების მანძილზე უჭირისუფლა, მოუარა, შემოინახა და აქნობამდე მოიტანა თავისუფალი ჭიდაობა, როგორც პოპულარული და რაიონში მეტ-ნაკლებად წარმატებული საჭიდაო სახეობა, ასევე, არაერთი ახალგაზრდა მოჭიდავის პირველ და პირად მწვრთნელს;

— ორი საუკუნის გარდამავალი პერიოდის ძნელბედობის ჟამს, როცა მიზეზმრავლობის გამო უჭირდა ქართულ სპორტს და, ცხადია, არც კასპში ულხინდა, იგი სათავეში ედგა საჭიდაო სკოლის კოლექტივს, თავის თანამოაზრე მწვრთნელთა გუნდთან ერთად;

— გამოცდილ სპეციალისტს, ვისაც ახლაც სპორტგაერთიანებაში უკავია მენეჯერის პოსტი და კურირებს პროფილურ, ანუ, საჭიდაო სახეობებს;

— ქართული სპორტის ერთგულ და უღალატო მსახურს, ვისაც 70 — წლისთავის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით საგანგებო მისალოცი ადრესი უძღვნა ქართულმა უპირველესმა სასპორტო გაზეთმა "ლელომ" (2021 წლის 11-13 იანვრის ნომერი, გვ. 12).

ნათქვამია, — ისეთ ჯარისკაცს რა ვუთხარი, ვინც გენერლობაზე არ ოცნებობსო! ასეა, სპორტშიც. აბა, ის რა სპორტსმენია — ფეხბურთელი, კალათბურთელი, ანდა, მოჭიდავე, ვინც არ ოცნებობს სასახელო გამარჯვებაზე, ფალავნობაზე, ოლიმპიურ ჩემპიონობაზე...

მაგრამ, ზოგჯერ, ასეთი მეოცნებე სპორტსმენების ცხოვრებაში მოულოდნელი გარემოებანი ჩაერევა ხოლმე და მათ ილუზიებს ამსხვრევს... მერე, ასეთები, პირადად რასაც ვერ მიაღწიეს, ცდილობენ, სხვა შანსი გამოიყენონ და საწადელს უკვე შვილების, ანდა, შვილიშვილების მეშვეობით მიაღწიონ და მათი გამარჯვებების სულისჩამდგმელები იყვნენ.

ახლა ერთი ასეთი ვეტერანი მოჭიდავის მაგალითს წარმოგიდგენთ.

კასპელი ვახტანგ მუმლაური ჭაბუკობაში სწორედაც რომ მომავალ სასპორტო წარმატებებზე ფიქრობდა და პირველი ვარსკვლავებიც ჩამოკრიფა ციდან:

1969 წელს საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა, თანაც, მხოლოდ მან კი არა, მისმა მეგობრებმაც — ალექსანდრე ხუციშვილმა და იოსებ მაღალაშვილმა, რომელიც ზუსტად 5 წლის შემდეგ პირველი მსოფლიო ჩემპიონი გახდა სამბოში კასპიდან. მეგობრების სამეულმა იმჟამად ერთობლივი ფოტოც გადაიღო, ახლაც შემონახული აქვთ ის ფოტო, ფრიად სასიამოვნო მოგონებებს რომ აღძრავს.

1971-73 წლებში, არმიული ვალდებულების მოხდისას, სამხედრო ოლქის მასშტაბით გაჩემპიონდა თავისუფალ ჭიდაობაში, მაგრამ სამხედრო სამსახურის შემდეგ, შინ მობრუნებულმა პირველივე შეჯიბრებისას, ქ. თელავში, მისდა დასანანად, ტრავმა მიიღო (ლავიწის ძვალი გაიტეხა), რაც საბედისწერო გამოდგა მისთვის, ამიტომ იძულებული გახდა, საყვარელი ჭიდაობისათვის თავი დაენებებინა.

ვახტანგი სასპორტო სარბიელს მაინც ვერ ჩამოშორდა, მწვრთნელობდა, სასპორტო დარბაზების მოწყობაზე ზრუნავდა, მუდამ მოჭიდავეთა რიგებში ტრიალებდა. ახლაც ადგილობრივი სპორტგაერთიანების დაუღალავი და უღალატო მუშაკია.

ვახტანგ მუმლაური — 70!

... და, რაც უმთავრესი საზრუნავი გააჩნია, ახლა მისი აღსრულების მცდელია: შვილიშვილი — ვასილ გვიმრაძე საკმაოდ პერსპექტიული, იმედისმომცემი მოჭიდავეა, აქტივში რამდენიმე შეჯიბრებისა და საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონობა მიითვალა, 2020 წელს სპორტული პროფილის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტიც გახდა. ასე რომ, ახლა პაპა-შვილიშვილის დუეტს აქვს ერთობლივი ოცნება. უფროსის გამოცდილება და ახალბედას შემართება, გვჯერა, აუცილებლად გამოისხამს სასურველ ნაყოფს. აი, მაშინ იხარებს პაპის გული. ჩვენო ვახტანგ, მანამდე ხელების ჩამოშვება არასდიდებით არ ეგების!

გიორგი ბეინაშვილი — 75!

გიორგი ბეინაშვილი კასპის ჭიდაობის ისტორიაში ე. წ. "საშუალო თაობის" წარმომადგენელია, იმ მოჭიდავეთა ტალღიდანაა, ვინც მე-20 საუკუნის 60-იან წლებში წარმატებით გამოდიოდნენ შიდასაქვეყნო სასპორტო დარბაზებსა თუ ნახერხმოყრილ არენებზე.

იგი 1945 წლის 15 იანვარს დაიბადა სოფელ ლამისყანაში. 1963-68 წლებში სწავლობდა გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში.

აქტიური სპორტული კარიერის განმავლობაში მეტ-ნაკლები წარმატებები ჰქონდა ჭიდაობის ხუთივე სახეობაში: სპორტის ოსტატი გახდა ქართულ ჭიდაობაში, სამბოში; თავისუფალ ჭიდაობაში არის საქართველოს ჩემპიონი (ჭაბუკებში) და სპორტსაზოგადოება "კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი; ძიუდოში მოგებული აქვს ქ. ბოლონიის (იტალია) საერთაშორისო ტურნირი (1966), შეხვედრია გერმანელ და ფრანგ ძიუდოისტებს; ჭიდაობა სამბოში პირველი სერიოზული გამარჯვება მოიპოვა 1962 წელს, როცა ქ. ბაქოში (აზერბაიჯანი) მოიგო საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა პირველობა.

მან 1965 წლიდან 1972 წლის ჩათვლით, 7 წლის განმავლობაში, ჭიდაობა სამბოში 4-ჯერ მოიპოვა სსრკ-ის ჩემპიონატებში პრიზიორობა:

1965-ში მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა დათმო და ვერცხლის მედალი ირგუნა ქ. პერმში, ხოლო 1968-69 და 1972 წლებში ბრინჯაოს მედლები დაიმსახურა, შესაბამისად: ლიპეცკში, ძერჟინსკსა და კრასნოიარსკში. ასევე, მოიგო სოჭისა და ერევნის საერთაშორისო ტურნირები.

აქტიური გამოსვლების შემდეგ მწვრთნელობას მოეკიდა და, აგერ, ხუთ ათეულ წელზე მეტია, მშობლიურ სოფელსა და რაიონში ახალ-ახალ თაობებს აკვალიანებს და აოსტატებს დიდი ჭიდაობისაკენ სავალ გზებზე. შემთხვევითი არაა, რომ იგი გახლავთ საქართველოს



დამსახურებული მწვრთნელი.

მრავალ ადგილობრივ თუ რესპუბლიკურ საჭიდაო ღონისძიებაზე უმსაჯია კიდეც, რაც მისი სპორტული ხანგრძლივი და მრავალმხრივი საქმიანობის დასტურია.

გიორგი ბეინაშვილი ქსნისხეობელი კაცი გახლავთ და, როგორც იქაური მდიდარი და ლამაზი ბუნების შვილი, პოეტურ მუზასაც თავისებურ ხარკს უხდის. წარმოიდგინეთ, ის, არც მეტი და არც ნაკლები, 4 პოეტური კრებულის ავტორია, მისეული სალექსო მიძღვნების წიგნი "ჭიდაობის ოსტატებს" 2010 წელს გამოიცა, 2015 წელს (ანუ — 5-წლიანი შუალედით) გამოჩნდა "სახემზიანი ვაჟკაცები", ხოლო 2020-ში, მიუხედავად, კორონავირუსის გავრცელებული პანდემიოთარებისა, კიდევ ერთი წიგნის დაბეჭდვა მოახერხა. ნიშანდობლივია, რომ "ჩოხამზიანი ვაჟკაცები" 21-ის იანვარში ჩაბარდა ხელთ სტამბიდან, ანუ, სწორედაც დაბადებიდან 75 წლისთავის იუბილესთან თანხვედრით. აი, ამას ჰქვია საჩუქარი, ვეტერანმა მოჭიდავემ საკუთარ თავს რომ უძღვნა!

"... ესაა მრავალჭირ-ვარამგამოვლილი კაცი ისტორიულ სოფელ ლამისყანიდან, მშობლიურ კასპსა და ლამისყანაზე უზომოდ შეყვარებული კაცი ადამიანი. ნახევარ საუკუნეზე მეტია, გიორგის საჭიდაო ჩოხა არ გაუხდია ჯერ როგორც სპორტსმენს ნახერხმოყრილ ღია მოედანზე, საჭიდაო ლეიბზე თუ ტატამზე, შემდეგ — ახალბედების მწვრთნელს, მსაჯს, სპორტის მოამაგეს. ჭიდაობა მისი ცხოვრებაა, სიჭარმაგეში კი ლექსების წერა დაიწყო... უმთავრესი ხატება მის სტრიქონებში, რაღა თქმა უნდა, ჭიდაობის სურნელია, ადამიანები მშობლიური კუთხისა თუ მთელი საქართველოს სპორტული თემიდან... ჭიდაობის მაესტრო ფარ-ხმალს არ ყრის და ისევ ჩოხოსანთა ამალაში ტრიალებს. თან, ქართული ვაზის მოვლისა და ღვინის დაყენების მესაიდუმლეც გახლავთ", — წერს ახლახან გამოცემული წიგნის რედაქტორი (და მისი პირადი მეგობარი) — მწერალი და სპორტული ჟურნალისტი გაბრიელ ბარჯაძე.

მკითხველს შეუძლია მოგვწოდოს შემეცნებით-გასართობი მასალები, სხვადასხვა კონკურსები. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია მოგვმართოს მისამართზე - კასპი, ხაჯიძის ქ. 68. ან დარეკოს ტელეფონზე: 03712 22576.

გახლით ჩვენი მკითხველი!

სპორტ_INFO

ჩვენი „გენერალი„ საქართველოს საუკეთესო 8 გუნდშია

კასპის ფუტსალის გუნდმა "გენერალმა" (მწვრთნელები – გიორგი და ბექა დაბრუნდაშვილები, ზაზა ჯალალი) 2020 წლის საფეხბურთო სეზონში ორი დონის პირველობაში გაიმარჯვა, მესამე გათამაშებაშიც წარმატებით გამოვიდა და, საბოლოოდ, საუკეთესო 8 გუნდს შორის მოხვდა.

"გენერალმა" შარშან 13 მატჩი გამართა და დადებითი ბალანსი მოინაგრა: 12 გამარჯვება, 36 ქულა, გატანილი და გაშვებული გოლების სხვაობა +43, 69:26-ზე. აგერ, საერთო გზაც:

"მასტერლიგის" კასპის პირველობის ჯგუფური ეტაპი: ლამისყანა (11:1), აღაიანი (7:3), სასირეთი (9:1), ზემო ხანდაკი (5:0), მეოთხედფინალი: ქვემო გომი (7:4), ნახევარფინალი: სასირეთი (6:3), ფინალური: აღაიანი (4:1) – 7 თამაში, ამდენივე გამარჯვება, ბურთები 49:13-ზე;

შიდა ქართლის მხარის პირველობა: ქარელი (5:1) და ხაშური (1:0) – გამარჯვება ორივე თამაშში და ბურთები 6:1-ზე;

აღმოსავლეთის კონფერენციის პირველობა: მერვედფინალი – ნინოწმინდა (6:1), მეოთხედფინალი – ყაზბეგი (3:1), პლეიოფური კაჭრეთის ფინალური გათამაშების საგზურის მოსაპოვებლად – რუსთავი (3:1) – 3 მოგება და ბურთების ბალანსი 12:3-ზე;

"გენერლისათვის" მარცხიანი გამოდგა მე-13 (!) "ბრძოლა" წინა გათამაშების ჩემპიონთან და, როგორც ბოლოს გაირკვა, ახლანდელის ფინალისტთან, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის (სდსს) ძლიერ გუნდთან (3:9). გაგაცნობთ გუნდის მოთამაშეთა ვინაობას, ვისმა კარგმა თამაშმა განაპირობა საერთო წარმატება: დავით პარკაძე (მეკარე), ბექა დაბრუნდაშვილი (კაპიტანი), ვალერი ზანგური, გიორგი დაბრუნდაშვილი, ნიკა ბურდული, ზაზა ჯალალი, ტარიელ ღვინიაშვილი, თორნიკე თაგვიაშვილი, ლევან გამზიტაშვილი, გიორგი უნგიაძე, ვალერი ქსოვრელაშვილი, გიორგი ჩარაევი, ონისე ონიაშვილი, ამირან ალადაშვილი, გიორგი ირემაშვილი და შოთა მერებაშვილი. ... დამდეგი საფეხბურთო სეზონისათვის "გენერალმა" გაცილებით დიდი ამოცანა დაისახა.

პერსპექტივაზე დაუფარავად აცხადებს გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო გოლეადორი ვალერი ზანგური:

– სეზონი – 21-ის შედეგებით ჩვენ საქართველოს ფუტსალის (ფეხბურთი 7X7-ზე) საუკეთესო კვარტეტის გუნდებში უნდა შევიდეთ!

საბრძოლო ხელოვნებათა კლუბი და კოვიდური ზამთარი

მიმდინარე ზამთარმა ამინდის ჭირვეულობით ვერ გაგვაკვირვა, სამაგიეროდ, შეგვაშფოთა და დაგვაფიქრა ვირუსული პანდემიის საერთო შედეგებითა და მომაკვდინებელი საშიშროებით. და, მაინც, სპორტი სუნთქავს...

აი, საბრძოლო ხელოვნებათა კლუბი "კასპის" (პრეზიდენტი – ალექსანდრე მანძულაშვილი) წარმომადგენლები იანვართებერვალში რამდენიმე დედაქალაქურ და ადგილობრივ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ:

– წლის დასაწყისში "ოფენ თბილისის" საერთაშორისო ტურნირში (კარატე) თავი გამოიჩინეს გიორგი შერმადინმა (8–9-წლიანთა შორის) და მარიამ მანძულაშვილმა (12–13-ანები). კასპში ორივე ჩემპიონად დაბრუნდა.

– იანვრის ბოლოს ტაეკვონდოს მწვრთნელთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარში ჩაერთვნენ ალექსანდრე მანძულაშვილი და ლევან მამულაშვილი. 40-მდე ქართველი მწვრთნელი ახალ ლიცენზიას მიიღებს.

– ტაეკვონდოს საქართველოს ფედერაციამ უკვე შეიმუშავა 2021 წლის საშეჯიბრო კალენდარი. მარტში თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა ისევ პანდემიის გამო, დაგეგმილია, რომ შიდასაქვეყნო პირველობა ქ. კასპში ჩატარდეს.

– ასეა თუ ისე, მომავალი შეჯიბრებებისათვის თადარიგს იჭერენ "კასპის" მწვრთნელები, ემზადებიან ნორჩი სპორტსმენები: დემეტრე და თამაზ ნავროზაშვილები, გიორგი ტატუნაშვილი, ზურაბ ჯობაძე, გიორგი შერმადინი, ზურაბ გოგიაშვილი, საბა ღვალაძე, გივი იორდანიძე, ლანა დავითაშვილი და მარიამ მანძულაშვილი.

– ახლახან კლუბის წევრებს სასპორტო ჩანთები გადაეცათ. დაჯილდოებაში მონაწილეობდა მისი საპატიო პრეზიდენტი თეა ხორბალაძე.

ვეტერანები სამზეოდან ჩუმად მიდიან ...

ტრისტან ბაშარული
(21.10.1961– 28.01.2021)

სამი ძმიდან უმცროსი იყო და მანაც ჭიდაობა შეიყვარა უფროსების მსგავსად. სამი ძმა ბაშარულის სახელი ჯერ სოფელ ოკამში გახმაურდა, – ნიკა ბაშარულს მოჭიდავე ბიჭები რომ ჰყავს, ასეთები ბევრმა მამამ ვერ დაიტრაბახოსო, – ამბობდნენ იქაურები... სამი ძმა ბაშარულის სახელები – ვალერიანი, თენგიზი და ტრისტანი – მერე საქართველოსაც გადასწვდა და ბევრგან იმეორებდნენ, – თქვენ გენაცვალეთ, ძმებო ბაშარულებო, ჭიდაობის ნამდვილი ჯადოქრები ხართო!..

... 1984 წლის იანვრის მიწურული იდგა. საქართველოს დედაქალაქში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში, უკვე – ტრადიციული! რიგითობით – მე-15! თავისი დონით – მსოფლიო ჩემპიონატის დარი! მაშინაც მილეთის უპირველესი მოჭიდავეები ჩამოვიდნენ თბილისში.

იმავე თვის ბოლო დღეს გაზეთ "ლელოში" დაიბეჭდა აწ სულცხონებული მწერლისა და ჟურნალისტის – ნუგზარ შატაიძის (1944-2009) წერილი, რამდენადმე მოულოდნელი სათაურით: "სპექტაკლის დასასრული".

იმ წერილში ავტორი, აი, რას ბრძანებდა, შეჯიბრების შემდგომ დაცარიელებულ სასპორტო დარბაზზე (ამონარიდის დასაწყისი):

"... აქ კი ყველაფერი პირიქით არის – "სპექტაკლს" რეჟისორი არა ჰყავს და "მსახიობებიც" სულ იმის ცდაში არიან, უხილავი დრამატურგის მიერ დაწერილი სცენარი როგორმე თავიანთი ნება-სურვილით შეცვალონ. რაც უფრო ნიჭიერია "მსახიობი", მით უფრო მარჯვედ ახერხებს ამას.

ტურნირის მაყურებელმა იხილა კიდევ ერთი ნიჭიერი "მსახიობი", რომელიც, მართალია, ჩემპიონი ვერ გახდა, მაგრამ დიდი მღელვარება აგემა ყველას – რუსლან ხაკუნდაკოვი, სპორტსმენი, რომელიც ტიტულებით თავს ვერ იწონებს, მაგრამ ფინალამდე დაუბრკოლებლად მივიდა და ფინალშიც მედგარი წინააღმდეგობა გაუწია ოლიმპიურ ჩემპიონს, ტურნირის ფავორიტს – შოთა ხაბარელს"... (დასასრული).

... და, მეგობრებო, თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ, ვისი გვარ(ებ)ი უნდა მოიხმოს "ლელოს" კორესპონდენტმა, რომელიც იმ 4-დღიან სპორტულ ზეიმს, ნამდვილ "სპექტაკლს" პირადად დაესწრო? ისევ მას მოვუსმინოთ:

"ქართველი მაყურებლისათვის სასიხარულო გამოდგა ასპარეზობა, სადაც 65-კილოგრამიანი ძიუდოისტები მონაწილეობდნენ. აქ ფინალურ ორთაბრძოლაში რამაზ მარგველანი და ტრისტან ბაშარული შეხვდნენ ერთმანეთს. თითქოს მღელვარების მიზეზი არ უნდა გვქონოდა, შედეგის მიუხედავად, ამ წონაში "ოქროც" და "ვერცხლიც" საქართველოს ნაკრების საკუთრება იყო, მაგრამ დარბაზში მაინც აღმოჩნდა მაყურებელი, ვისაც ტრისტანის დამარცხებამ ცრემლი მოჰგვარა თვალზე.

ის კაცი ახალგაზრდა ძიუდოისტის მამა, ოკმელი ნიკა ბაშარული იყო.

– სამი ვაჟი მყავს: ვალიკო, თენგიზი და ტრისტანი, სამივე ჭიდაობს, – გვითხრა მან, – ეგ ყველაზე პატარაა, 23 წელი ჯერ არ შესრულებია. მწვრთნელი? კაციაშვილთან დადის, ლავრენტისთან. ჩვენი სოფლის ფიზკულტურის მეთოდისტი ალექსანდრე ხუციშვილი სულ უკან დასდევს, – ნიჭიერიაო, – აქებენ... მე? ვჭიდაობდი, როგორ არა, მაგრამ ჩემს დროს ეგრე, წონობრივ არ იყო – თვალით შეგატყობდნენ, ვისაც უნდა დასჭიდებოდი, რო გეტყოდნენ, – გამოდიო, კარგი ბიჭი იყავ და არ გადასულიყავი, მაშინვე ქამარი მოგხვდებოდა კანჭებში. მშიშარა კაცი ვერ იჭიდავებს, ერთხელ თუ გაიტარე გულში შიში, წასულია შენი საქმე! არა, ამ ჩემს ბიჭს, არ შეშინებია, მაგრამ მაგარია, ეტყობა ის სვანი და რას იზამ... ხომ გაგიგია, – მჯობნის მჯობნი არ დაილევაო!..."

სარდიონ ჩერტკოევი
(08.09. 1957 - 08.11. 2020)

დაიბადა და გაიზარდა სოფელ ქვემო ჭალაში, აქ სწავლობდა და ყმაწვილკაცობდა, მდინარე ლეხურას მცირე წყალსაგუბარებში განბანილა ხეობელ ამხანაგებთან ერთად, საჭიდაოებზე ტოლსწორებთან დაჭიდების შემდეგ ...

აი, ჭიდაობაში კი ნამდვილად არ დაეწუნებოდა სიმარჯვე, ტექნიკურიც იყო და საყვარელ ფანდებსაც მარჯვედ იყენებდა.

ეგ კი არა, ლამაზადაც ჭიდაობდა, რითაც თურმე თანატოლი გოგონების თვალში სხვათაგან გამორჩეული ყოფილა

არადა, საჭიდაო ჩოხა ნაადრევად გაიხადა, 20 წლისამ, მაშინ, როცა ბევრს არც დაუწყია ჭიდაობა. 2015 წლამდე ექვსი ქირურგიული ოპერაციის გადატანა მოუხდა. ამ წელს მობრუნდა ქ. ვლადიკავკაზიდან, სადაც ცხოვრების გარკვეული პერიოდი გაატარა.

ორკარად ბინადრობდა, ოჯახობა და მოხუცი დედა ქვემო ჭალაში ჰყავდა, ჰოდა, სარდიონიც (სარდია, როგორც აქაურები ეძახდნენ) მობრუნდა საჩვენოში, ჩვენებური იყო და აქ უფრო ედგომებოდა.

დედა გამუდმებით ავადობდა და ზედ გადაყვა, კასპში ხშირად დადიოდა წამლების საყიდლად, სულ აფთიაქების კარზე იყო. ორიოდე წლის წინ მშობელი გარდაეცვალა და მანაც უკლო კასპში სიარულს...

შარშანდელი შემოდგომის მერე სულაც აღარ გამოჩნდა... 8 ნოემბერს გარდაცვლილა.

კასპში მისმა მეგობრებმა ეს სამწუხარო ცნობა ძალიან გვიან შეიტყეს, აგერ, თებერვლის დასაწყისში...

წავიდა ისევე ჩუმად და უხმაუროდ, როგორი მორიდებითაც იცხოვრა, როგორი უჩინარიც იყო აქაურებისთვის კეთილსაქმეთა ქმნაში, ყოველდღიურ ყოფით ურთიერთობებში: თურმე ბევრი ქვემოჭალელი და იგოეთელი გზადმომლოდინე ნაცნობ-უცნობი დაუმგზავრებია თავისი ავტომანქანით, რამდენიმე ბავშვობის მეგობრისათვის ძალით ჩაუკუჭავს ფული ჯიბეში, – შენ შვილიშვილებს ტკბილი უყიდე და ასე უთხარი, ჩემი პატარაობის ძმაკაცმა სარდიამ გამოგიგზავნათო, – რამდენი ასეთი და სხვა სიკეთენი გაულია თურმე, რასაც მისი ნაცნობები ახლა იხსენებენ.

... სარდიონი საქართველოს 3-გზის ჩემპიონი იყო (სხვადასხვა ასაკობრივ დონეზე) ქართულ ჭიდაობაში, ერთხელ – სამბოში; საქართველოს ტექნიკუმების მოსწავლეთა სპარტაკიადის 3-გზის გამარჯვებული; საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადის პრიზიორი ძიუდოში, ჩემპიონი და პრიზიორი ძიუდოში (უფროსები); ყოფილი საბჭოეთის შეიარაღებული ძალების პირველობის თასის მფლობელი და პრიზიორი, ამიერკავკასიის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში.

ჩვენი აკადემიელი ანდრია

ანდრია ყაზარაშვილი: კასპელი 13 წლის ყმაწვილკაცი 2020 წელს ჩაირიცხა "დინამო თბილისის" საფეხბურთო აკადემიაში.

ვარჯიში 2013 წელს დაიწყო კასპის ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლაში შავლეგო მაჭარაშვილის მეთვალყურეობით. ამპლუით ნახევარმცველია, უყვარს და ეხერხება წინ თამაში, გამოირჩევა მეგოლის ალღოთი. 2019 წლის სეზონში კასპელმა ბიჭებმა "აფხაზეთის ჩემპიონატში" მე-2 ადგილი დაიკავეს. ამაში დიდი წილი ანდრიამ დაიდო 45 გატანილი გოლით. სხვა ტურნირებში კიდევ რამდენიმე დაუმატა და ერთ სეზონში მისმა რეკორდულმა თამასამ შეადგინა 57 გოლი!

ანდრიას საყვარელი ფეხბურთელი ქართველებიდან გიორგი ქინქლაძეა, უცხოელებიდან – კრისტიანო რონალდო.

მის ბავშვურ ოცნებებს რაც შეეხება, პირველი უკვე აისრულა: ყველაზე სახელოვანი ქართული კლუბის ასაკობრივ გუნდშია! ახლა უფრო დიდ ამოცანას ისახავს: – 17 წლის ასაკში ევროპის რომელიმე წამყვანი საფეხბურთო კლუბის რიგებში ვიქნები!

მთავარია, რომ ეს თვითონ სჯერა!

17-წლიანების წინასასეზონო გამარჯვება

კასპის საფეხბურთო სკოლის 17-წლიანების გუნდმა "განთიადმა", რომელსაც ერთი წელია, რაც ბექა დაბრუნდაშვილი წვრთნის, ახალი საფეხბურთო სეზონისათვის მზადების თვალსაზრისით პირველი ამხანაგური მატჩი გამართა. მისი სტუმარი სპარინგ-პარტნიორი იყო ქ. გორის საფეხბურთო კლუბი "გორის" თანატოლთა გუნდი.

კასპის ცენტრალურ სტადიონზე თამაში 6 თებერვალს მოეწყო (სრული კოვიდ-რეგულაციების მოთხოვნათა გათვალისწინებით) და დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით. მართალია, "განთიადის" ბიჭებმა გოლი საკუთარ კარში მატჩის დაწყებისთანავე გაუშვეს, მაგრამ "საკუთარი" თამაში მალევე იპოვეს და ანგარიში გაათანაბრეს, მეორე ტაიმში მხოლოდ თვითონ დომინირებდნენ მწვანე მოედანზე, ოთხი გოლი კიდევ მიითვალეს და, საბოლოოდ, დააფიქსირეს სოლიდური ანგარიში – 5:1.

გამარჯვებული გუნდის შემადგენლობა საანგარიშო მატჩში: მეკარე – ლადო ბუთხუზი, მცველები – გიორგი რომაშკო, ნიკა ნონიკაშვილი, ნიკა მანჯიკაშვილი და ნიკა ჯუხარიძე, ნახევარმცველები – ზაზა ბალხამიშვილი, ალექსანდრე წინამძღვრიშვილი, ვაჟა სოყურაშვილი, გიორგი ბერიანიძე და გიორგი ბალხამიშვილი, თავდამსხმელები – მიშიკო მუმლაური და ირაკლი მალაციძე, თადარიგიდან შემცვლელებად შევიდნენ – გიორგი ჯინიყაშვილი, გიორგი კუდუხაშვილი, ლუკა ბიტიაშვილი, გიორგი გამხიტაშვილი, გიორგი მენაბდიშვილი, გიორგი თათანაშვილი, გიორგი კორკოტაშვილი და მათე ქოქაშვილი.

გოლების გატანით გამოჩნდნენ: მიშიკო მუმლაური (2-ჯერ), ირაკლი მალაციძე, ლუკა ბიტიაშვილი და გიორგი კორკოტაშვილი.

მეხუთე ლირი

რუბრიკა - წელიწადის „მეხუთე ლირი“ ოქტომბერ თქვენს გამოხმაურებას.

მობრძანდით რედაქციაში, გაგვაცანით თქვენი ნამუშევრები და წარმოგიდგენთ იმანი ცხოგელებს. (წარმოგიდგენთ ელექტრონული ვერსია)

გინდათ, გაეცნოთ საინტერესო, საქმიან და მნიშვნელოვან ცვლილებებს ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის ცხოვრებიდან?

გინდათ, გაიგოთ ეროსკასელთა მოსაზრებები საქართველოს ცხოვრების პერსპექტივაზე?

გამოიწერეთ "ახალი განთიადი" და გახდით ჩვენი მკითხველი!

"ათეოის წერილი*

(ნაწილი მეორე)

გაგრძელება. დასაწყისი გვ-5.

ახლა, ძნელია გაიაზრო, თუ რა გაიფიქრეს იმ წუთებში, როცა ისმენდნენ ამ ავისმომასწავებელ დანართს, თუმცა, კარგად იცოდნენ, რომ უკვე მუშაობდა რეპრესიული მანქანა, რომელიც მძიმედ, მაგრამ, ხავსივით მიცოცავდა ყველგან და სისხლიან ნაკვალევს ტოვებდა ფიზიკურადაც და სულიერადაც. ამაზე ჯერ არავინ ფიქრობს, ბიუროს ყველა მონაწილე მზადაა პარტიის გენერალური ხაზი ცხოვრებაში გაატაროს, ხელებდაკაპიწებული იშრომოს და კომუნიზმის დიად მშენებლობაში თავისი ღირსეული წვლილი შეიტანოს...

ბართლომეს დიდი ღამე კი ახლოვდება, ღამე, როცა 1937 წლის რეპრესიულმა მანქანამ, კორდის ბალახებივით უნდა მოცელოს კასპის ცემენტის ქარხნის ამშენებელი, მამულზე უზომოდ შეყვარებული ქართველი კაცი, დიდი კომბინატის დირექტორი ალექსანდრე ქებაძე და რაიონში გამორჩეული ახალგაზრდა მიხეილ ბეგიაშვილი. და, რა თქმა უნდა, არა მარტო ისინი...

სამწუხაროა, რომ გაზეთმა, რომლის გამოცემაში, დიდი წვლილი შეიტანეს ამ დიდებულმა პიროვნებებმა, წლების მერე ავადსახსენებელი ეპითეტები არ დააკლო მათ და ხან მავნებელი მიაწება, ხან - ტროცკისტი ...

ცხოვრება თავისი გზით მიდიოდა. ნელა, მაგრამ გაუმჯობესდა გაზეთის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სტამბასაც და რედაქციასაც გამოეყო ფართი (დღევანდელი მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ადგილზე), მოგვიანებით კი, პირველი მაისის (დღევანდელი ფარნავაზის) ქუჩაზე ცალკე ააშენეს სტამბის შენობა, რედაქციას კი იქვე, ცემენტის ქარხნის სასტუმროში შესთავაზეს ოთახები.

მოვიდნენ ახალი კადრები, ამაღლდა მათი კვალიფიკაციის დონე, გაზეთზე უკვე ხელს აწერდნენ რედაქტორები, თუმცა, იყო გამონაკლისებიც, როცა ხელისმომწერთა შორის ვხედავთ რაიკომის მდივნებს, განყოფილების გამგეებს...

ასე მაგალითად, 1936 წლის 18 სექტემბრის ნომერზე ხელს აწერს პასუხისმგებელი რედაქტორი ს. მინდაძე, მაშინ, როცა იგი რაიკომის მდივანი იყო, 6 სექტემბრის ნომერზე პასუხისმგებელ რედაქტორად გვევლინება რაიკომის კულტურის განყოფილების გამგე კ. ბაბილოძე.

სხვადასხვა წლებში გაზეთზე ხელისმომწერთა შორის ვხედავთ გ. პაპავას (1936 წლის 18 აგვისტომდე), ნ. ჩადუნელს (1937 წლის 4 ნოემბრიდან 1941 წლის 22 ივნისამდე), იმავე წლის 29 ივნისის ნომერზე ჩნდება რედაქტორის მოადგილის აკ. ლომიძის ხელმოწერა, 5 ივლისის ნომერი რედაქტორის მოვალეობის შემსრულებლის ა. კვიმსაძის ხელმოწერით გამოდის, 7 სექტემბრიდან 1942 წლის 9 მაისამდე გაზეთს ხელმძღვანელობს შალვა შაველაშვილი მაგრამ ეს გრძელდება 24 მაისამდე, მერე დროებითი აღმასრულებელია ა. ფერაძე, ერთი თვის შემდეგ ო. ლებანიძის ხელმოწერა ცვლის. როგორც ჩანს, ეს ხშირი ცვლილება გამოწვეული იყო დიდი სამამულო ომით, რედაქტორები ფაშისტ ურდოებთან საბრძოლველად მიდიან...

1942 წლის 5 ივლისს შალვა შაველაშვილი ისევ უბრუნდება რედაქციას, მაგრამ 1943 წლის 15 მაისიდან მოვალეობის აღმასრულებელია ივანე ბუზალაძე, რომელიც, როგორც რედაქტორი, 1943 წლის 17 ივნისიდან გვევლინება.

1944 წლის 12 იანვრის ნომრიდან გაზეთს დროებითი აღმასრულებელი ტ. მეგენეიშვილი გამოსცემს, 20 ივლისიდან კი კვლავ რედაქტორია ვანო ბუზალაძე.

გაზეთი 1936 წლიდან 6 დღეში ერთხელ გამოდიოდა, განსაკუთრებით გაიზარდა გაზეთის როლი და მნიშვნელობა სამამულო ომის პერიოდში, თუმცა, იგი ორგვერდიანია, მაგრამ, მაინც ახერხებდა რაიონის მშრომელებამდე მიეტანა ომის მიმდინარე ამბები და გამარჯვების საზეიმო დღეების განწყობილება.

გაზეთის რედაქტორები, რომლებიც ხშირად ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, ერუდირებული, განათლებული და რაიონზე შეყვარებული პიროვნებები გახლდნენ. კარგი ავტორიტეტი ჰქონდათ: ნიკოლოზ ჩადუნელს, შალვა შაველაშვილს, ივანე ბუზალაძეს, ელიზა გულვერდაშვილს და სხვებს.

ომის შემდგომ წლებში, გაზეთის ფორმატი გაიზარდა, ოთხგვერდიანი გახდა და კვირაში სამჯერ გამოდიოდა.

დიდხანს ხელმძღვანელობდა გაზეთს შესანიშნავი პიროვნება, ვახტანგ ელისაბედაშვილი, მერე კი, როცა იგი კასპის მეორე საშუალო სკოლის დირექტორად გადაიყვანეს, რედაქტორად დანიშნეს კასპის კოლორიტი, გამორჩეული პედაგოგი ალექსანდრე ბეჟანიშვილი.

გაზეთის ცხოვრებაში მეტად დანავსული აღმოჩნდა 1962 წელი. მოხდა რაიონების რეორგანიზაცია და კასპის რაიონი ორად გაიყო: სამრეწველო ქალაქად (ეს სტატუსი მას 1959 წელს მიენიჭა) და სასოფლო რაიონად, რომელიც სამართავად ჯერ გორს გადასცეს, მერე - მცხეთას.

დაიშალა გაზეთის რედაქციაც, ალექსანდრე ბეჟანიშვილი განათლების განყოფილების გამგედ გადაიყვანეს, სხვა მუშაკებსაც შესთავაზეს თანამდებობები...

რაიონში ერთხანს გორიდან მოდიოდა გაზეთი "გამარჯვება," მერე "მცხეთა" გვემსახურებოდა.

1965 წლის შემოდგომაზე ვითარება ისევ შეიცვალა, კასპს დაუბრუნდა რაიონის ფუნქცია. განახლდა გაზეთის სტამბა- რედაქციაც, სადაც რამდენიმე ძველ მუშაკთან ერთად, სხვა კადრიც მოვიდა. რედაქტორად, თბილისიდან გამოგზავნეს ცნობილი მწერალი და დრამატურგი გურამ კლდიაშვილი. 1966 წლის პირველ იანვარს მიიღეს საახალწლო, განახლებული რაიონული გაზეთი, 8 500 - იანი ტირაჟით, თუმცა, ძველი სახელწოდებით (კომუნიზმისაკენ), კვირაში სამჯერადი გამოცემით.

მითი კომუნიზმის აშენებაზე კარგა ხანია მინავლდა და ბოლოს, ყველა მიხვდა, რომ ეს ყველაფერი უტოპია იყო.

კასპში, რამდენიმე თვე გამოდიოდა გაზეთი ფუნქციადაკარგული სახელწოდებით. გურამ კლდიაშვილმა "რკინის ქალამნები" ჩაიცვა, ზემდგომი ორგანოების კარები აატალახა და საწადელს მიაღწია: ნება დართეს კასპის რაიონული გაზეთისთვის სახელწოდება შეეცვალათ.

1966 წლის გაზაფხულზე რაიონის მშრომელთა ოჯახებში გაზეთი "განთიადი" შემოვიდა...

ნორა ედიშერაშვილი,

(გაგრძელება იქნება)

* გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ გაზეთი „ახალი განთიადი", 16 დეკემბერი, 2020 წელი.

ეძღვნება კასპის რაიონული გაზეთის იუბილეს.

ყვავილი ნვთიერი

ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიას მრავალი საუკუნის ისტორია აქვს. ჩვენამდე მოღწეული არქეოლოგიური და უძველესი ლიტერატურული ძეგლებით დასტურდება, რომ ქართული ხალხური ქორეოგრაფიის ისტორიული წინამორბედი ყოფილა სამონადირეო ცეკვა, ნაყოფიერების ღმერთის – მთვარის /"შუშპა"/პატივსაცემად შესრულებული რიტუალური "ფერხული".

უძველესი "ფერხულის" რიტუალურ ხასიათს ატარებს თრიალეთის გათხრების დროს აღმოჩენილი ვერცხლის ფიალის გამოსახულება – ნიღბებიან მონადირეთა ფერხული, რომელიც ზოგიერთი მეცნიერის აზრით, სვანური ნადირობის ღვთაების – დალისადმი უნდა იყოს მიძღვნილი.

სვანეთში დღემდეა შემორჩენილი: "სამონადირეო ფერხული", "ლემჩელი", "ბეთქილის ფერხული" და სხვა... დროთა განმავლობაში კი, უპირატესობა მიენიჭა "ფერხულს".

წმინდა საცეკვაო ელემენტების შერწყმამ ადათ-წესებისა და თამაშობების რიტუალებთან ხელი შეუწყო ისეთი ცეკვების შექმნასა და განვითარებას, როგორიც არის მაგალითად "ქართული", "განდაგანა", "ხორუმი", "ფერხულ-ორსართულა", "სამაია", "მთიულური", "მთიულური დავლური", "ბაღდადური" და მრავალი სხვა. ეს ცეკვები თავისებური აღმოჩენა იყო ქართულ ქორეოგრაფიაში. დროთა განმავლობაში შეიქმნა მრავალი საცეკვაო დასი, როგორც ეროვნული თვითგამოხატვის გამოვლენა.

ცეკვისადმი გამორჩეულ დამოკიდებულებაზე მეტყველებს თანამედროვე ცეკვის ანსამბლებისა და მათში გაწევრიანებული ქართველი ახალგაზრდების სიმრავლე.

ღირსების ორდენის კავალერი, ვარსკვლავოსანი ქორეოგრაფი, კულტურის დიდი მოამაგე და დამფასებელი, ამაგდარი მოღვაწე, მრავალი თაობის აღმზრდელი მასწავლებელი და დამკვალიანებელი ქალბატონი რუსუდან მჭედელაძე დიდხანს ემახსოვრება აქაურებს და არა მხოლოდ მათ.

– ამ ადამიანთან ურთიერთობამ, ახლობლობამ ნათლად დამანახა ერთგულებისა და უღალატობის, უანგარობის ფასი, – აღნიშნავს ანსამბლ "დიდგორის" სამხატვრო ხელმძღვანელი ქეთევან მონასელიძე თავის ბოლოდროინდელ გახსენებაში, რომელიც ერთგულ კოლეგასა და ნიჭიერ ხელოვანს მიუძღვნა.

რუსუდან მჭედელაძეს შესანიშნავად იცნობენ კასპელები, აქაური ახალგაზრდები და მათი მშობლები, მოკლედ იმასაც შეგახსენებთ, რომ მას აქვს საინტერესო, საამაყო და ბევრისთვის მისაბაძი ბიოგრაფია, განაგრძობს გარდაცვლილ კოლეგაზე, უერთგულეს მეგობარზე საუბარს ქალბატონი ქეთევანი...

რუსუდან მჭედელაძე დაიბადა ქალაქ თბილისში 1931 წლის 31 დეკემბერს, ჯერკიდევ სრულიად ახალგაზრდა, მოსწავლე იყო, როდესაც გახდა სასკოლო ოლიმპიადის ლაურეატი და ქართული ქორეოგრაფიის კორიფეების ყურადღება მიიპყრო.

1947 წელს რუსუდან მჭედელაძე ჩაირიცხა ლეგენდარული ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის საცნებო ანსამბლში.

იმ დღიდან მოყოლებული რუსუდან მჭედელაძეს არ უღალატია ქართული ქორეოგრაფიისათვის.

1950-52 წლებში იგი გახლდათ იმ დროისათვის საკმაოდ ცნობილ და ავტორიტეტულ ვაჭრობისა და კვების მრეწველობის სამინისტროსთან არსებული ქორეოგრაფიული ცეკვის ანსამბლის წევრი, ხოლო მოგვიანებით 1952-1955 წლებში ცეკვავდა სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში.

1956 წელს რუსუდან მჭედელაძე კასპელების რძალი გახდა და სამუდამოდ დაუკავშირა თავისი ცხოვრება კასპის რაიონს.

პროფესიონალი, თავის საქმეზე შეყვარებული მოცეკვავე სიამოვნებით მიიწვიეს კასპის იმჟამინდელ ცემენტ-შიფერის კომბინატის კულტურის სახლში სამხატვრო ხელმძღვანელად.

ყველაფერი იღონა, რათა გარშემო შემოეკრიბა ხელოვნებით დაინტერესებული ახალგაზრდები, მალევე დააარსა ქორეოგრაფიული ანსამბლი "საზანდარი", რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე ერთგულებდა, მხოლოდ მისი მითითებებითა და "ინსტრუქტაჟით" საზრდოობდნენ ანსამბლის წევრები.

"საზანდარი" მთელი მისი არსებობის 34 წლის მანძილზე გამოირჩეოდა რუსუდანისეული ხელწერითა და საშემსრულებლო მანერით. "საზანდარს" მიღებული აქვს მრავალი ჯილდო და სიგელი, სამახსოვრო საჩუქრები...

რუსუდან მჭედელაძეს დიდი ამაგი აქვს გაწეული რაიონის ახალგაზრდებისათვის, იგი სოფლებში უბან-უბან ეძებდა ცეკვით დაინტერესებულ ბავშვებს, სხვადასხვა დროს ნაყოფიერად მოღვაწეობდა ქვემო ჭალის კულტურის სახლში, ოკამში, კავთისხევსა და სხვა სოფლებში.

1996 წელს მან ლენინგრადში მიიღო ბალეტმაისტერის წოდება, თბილისში 1987 წელს პროფსაბჭოს სპეციალურ კურსებზე დაიცვა რეფერატი...

1984-85-86 წლებში გავლილი აქვს კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები ქორეოგრაფიაში.

ქალბატონმა რუსუდანმა მართლაც რომ ნათელი კვალი დატოვა

აქაურების ცხოვრებაში.

რაიონის ცნობილი და სახელგანთქმული ქორეოგრაფები არიან მისი აღზრდილები: ცისანა დარჩიაშვილი და ნინო პავლიაშვილი, ინგა გულარაშვილი, თბილისში მოღვაწეობს მისი აღზრდილი ნატო მამულაშვილი, გორში მოღვაწეობენ მისი ნამოწაფარი მოცეკვავეები: ბესიკ პეტრიაშვილი, ცაგო სოხაძე, აბესალომ /აბე/ ლომაძე, გოჩა ქოქაშვილი, დავით ლოცულაშვილი, ზურაბ ბერაძე. ქობულეთში მოღვაწეობს აქ აღზრდილ-დაფრთიანებული ფარიზა ცერეკაევა, ათენშია ეკა გიგოლაშვილი, პარიზში – გოჩა თათრიშვილი.

ქალბატონმა რუსუდანმა აღზარდა შესანიშნავი მუსიკოსები, თავისი ხელით ქარგავდა ქართულ კაბებსა და ჩოხებს, კერავდა აჭარულის ქუდებს, ქმნიდა ტანმოვარჯიშეების კოსტიუმებს. რუსუდან მჭედელაძის ტანვარჯიშის წრის ფუნქციონირება განსაკუთრებული საუბრის საგანია. იმ შორეულ წლებში იგი აღსაზრდელებს ბევრ ისეთს ასწავლიდა, დღეს ძვირადანაზღაურებად კლუბებში რომ ასწავლიან, მაგალითად: სწორად სიარული, მოძრაობის გრაცია ...

უხუცესი ხელოვანი წლების განმავლობაში ავადმყოფობდა, მაგრამ მოცეკვავეებისა და დამწყები კოლეგებისათვის მუდამ იცლიდა, სათანადო რჩევა-დარიგებას აძლევდა.

მისი ბოლო გამოჩენა ჩვენი საზოგადოების წინაშე ერთგვარი შთამბეჭდავი სანახაობაც იყო, უფრო მეტიც, ეს იყო ლამაზი, დაუვიწყარი, ღირსახსოვარი დღე – რუსუდან მჭედელაძეს 2019 წლის 19 მაისს საზეიმო ვითარებაში გაუხსნეს ვარსკვლავი.

კიდევ უფრო დასამახსოვრებელი, მრავლისმთქმელი იყო მის მიერ წარმოთქმული სამადლობელი სიტყვა.

დაფასებისა და პატივისცემისათვის მან მადლობა გადაუხადა შეკრებილ საზოგადოებას, ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას, კოლეგებსა და მოცეკვავეებს, კულტურისა და ხელოვნების თაყვანისმცემლებს, ამ ისტორიული ღონისძიების ორგანიზატორებს, იმ ადამიანებს, რომლებმაც ყველაფერი იღონეს, რათა ეს შესანიშნავი პროექტი წარმატებით განხორციელებულიყო.

რუსუდან მჭედელაძე მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული, გემოვნებიანი და გასაოცარი ალღოს მქონე ადამიანი გახლდათ, 20 წელი ებრძოდა ავადმყოფობას, იმედი არასოდეს დაუკარგავს...

2020 წლის 31 დეკემბერს უხუცესი ქალბატონი 89 წლის გახდებოდა...

უკანასკნელ გზაზე დიდი პატივით გააცილეს, ოჯახის წევრებმა, საახლობლომ, მეგობრებმა, მოცეკვავეებმა, ჩვენი საზოგადოების წარმომადგენლებმა, რომელთა შორის იყვნენ კასპის მუნიციპალიტეტის მერი, კულტურის სამსახურის წარმომადგენლები. ეს ფაქტი აღნიშვნის საგანი გახლავთ, რადგან პანდემიის პირობებში მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში ხერხდება, რა თქმა უნდა, წესების დაცვით პატივისცემის გამოხატვა უკანასკნელ გზაზე.

კასპის მუნიციპალიტეტისა კულტურისა და სახელოვნებო სკოლების გაერთიანება. ფოტოზე რუსუდან მჭედელაძე კოლეგებთან ერთად.

გამოსათხოვარი

სცენის არწივი

რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ქართული ესტრადის შეუდარებელი და უნიჭიერესი მომღერალი, შესანიშნავი ადამიანი თემურ წიკლაური გულწრფელად დაიტირა მთელმა საქართველომ...

ქართული სცენის მშვენებამ თემურ წიკლაურმა მთელი თავისი განვლილი შემოქმედებითი ცხოვრებით მაყურებლის უდიდესი სიყვარული, მოწიწება დაიმსახურა, ყოველი მისი გამოჩენა სცენაზე იწვევდა დიდ აღმაფრენას, ემოციების გარეშე ვერ მოუსმენდით.

თემურ წიკლაურმა ახალგაზრდობიდანვე მოიპოვა დიდი აღიარება როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ის გახლდათ ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის, "ივერიის" ერთ-ერთი წამყვანი სოლისტი, ანსამბლმა მთელი მსოფლიო მოიარა და აღიარებაც მოიპოვა...

ქართული საესტრადო სიმღერების უბადლო შემსრულებელმა თემურ წიკლაურმა არაერთ მიუზიკლში მიიღო მონაწილეობა და დაუვიწყარი სცენური სახეები შექმნა.

განუმეორებელია თემურისეული "ნიკალა", "ჩხიკვთა ქორწილი", "არგონავტები" და კიდევ ვინ მოთვლის, რამდენი მუსიკალური შედევრი.

მომღერალმა ტრიუმფით გაიარა თავისი შემოქმედებითი გზა და ღირსეულად დაიმკვიდრა სახელი ქართული მუსიკალური კულტურის ისტორიაში.

საზოგადოება და ქართული კულტურის ისტორია ჯეროვნად შეაფასებს მის ღვაწლს, მან მთელი თავისი სიცოცხლე სცენაზე გაატარა, უმღეროდა საფიცარ სამშობლოსა და სათაყვანებელ ხალხს.

მგზნებარებით იღვაწა, იგი ეპოქალური მომღერალია და ქართველი ხალხის გულში დიდხანს იცოცხლებს.

სამწუხაროდ, ცნობილი მომღერალი და შემსრულებელი თემურ წიკლაური "გარედან" მოსულმა სატკივარმა არ დაინდო და უეცრად დაიფერფლა მისი სიცოცხლე.

დემურ ღვინაძე.

ეკატერინე გაბაშვილის შვილიშვილი

მარო მაყაშვილი 1902 წლის 25 აგვისტოს დაიბადა. მამა - კონსტანტინე მაყაშვილი, ცნობილი პოეტი, საქართველოს მწერალთა კავშირის ერთ-ერთი დამაარსებელი იყო. დედა - თამარ გაბაშვილი, მწერალ ეკატერინე გაბაშვილის ასული.

თბილისის ქალთა გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, მარომ სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე განაგრძო. მიუხედავად მცირე ასაკისა, აქტიურად იყო ჩაბმული საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის დაწყებისთანავე, მარო, მეგობრების მხარდამხარ, "წითელ ჯვარში" მოწყალების დად ჩაეწერა და სანიტარულ რაზმთან ერთად თბილისის თავდაცვის მარჯვენა სექტორისკენ, კოჯორ-ტაბახმელას მიმართულებით გაემართა. 1921 წლის 19 თებერვალს, მას რუსული არტილერიის მიერ ნასროლი ყუმბარის ნამსხვრევი კეფაში მოხვდა და დაიღუპა.

მის გარდაცვალებას, იქვე მყოფი იუნკერი, მიხეილ დადიანი შემდეგნაირად იხსენებდა: სწორედ ამ დღეს ამოვიდა ტაბახმელაზე მოწყალების და მარო მაყაშვილი, რომელიც იქვე შტაბის აივანზე იდგა და სრულიად დამშვიდებული უსმენდა არტილერიის ყუმბარების აფეთქებას, რომლებიც სულ ახლოს ეცემოდნენ შტაბთან.

ჩანდა, რომ მათ სწორედ ის დუქანი ჰქონდათ მიზანში ამოღებული, სადაც გენერალ ანდრონიკაშვილის შტაბი იყო. პოლკოვნიკი ჩხეიძე გამოვიდა შტაბიდან და დაინახა მარო, რომელსაც მე ველაპარაკებოდი; უთხრა მას ახლავე დაბრუნებულიყო თბილისში. მარო ჩავჯდა სასანიტარო ორთვალაში და თბილისისაკენ დაეშვა, სულ ნახევარი კილომეტრი არ ჰქონდა გავლილი, რომ მტრის ყუმბარა ორთვალას მოხვდა და მარო იმსხვერპლა.

მარო მაყაშვილი თბილისისთვის ბრძოლაში დაღუპულ იუნკრებთან, ჯარისკაცებთან და მოხალისეებთან ერთად, თბილისში, 23 თებერვალს, სამხედრო ტაძრის ეზოში დაკრძალეს, სადაც დღეს, რუსთაველის გამზირზე, საქართველოს პარლამენტის შენობაა განლაგებული. მარო მაყაშვილის პატივსაცემად, კომპოზიტორმა ზაქარია ფალიაშვილმა ოპერა "დაისის" მთავარ გმირ ქალს მარო უწოდა.

2015 წლის 24 დეკემბერს მარო მაყაშვილს საქართველოს ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა.

ჩვენებურები საქართველოს დაპყრობის წინააღმდეგ

საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან (1918 წლის 26 მაისი) სამ წელში, 1921 წელს საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელობამ, ძალის გამოყენებით საქართველოს დაპყრობის გადაწყვეტილება მიიღო. რუსეთის მეთერთმეტე არმიის წინააღმდეგ ომში 1921 წლის 17 თებერვალს ქართველ იუნკერთა სამხედრო სასწავლებლის 500-კაციანი რაზმი ჩაერთო – 20-25 წლის ახალგაზრდები, რომლებმაც ქვეყნის დასაცავად თავი გაწირეს.

ცოქალიოლის გენერალი

გიორგი მაზნიაშვილი დაიბადა 1870 წელს დღევანდელი კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ სასირეთში. სათანადო სამხედრო განათლების გავლის შემდეგ რუსეთის არმიაში დააწინაურეს და მისცეს გენერლის ჩინი.

მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის 1904-1905 წლების ომში. გამოირჩეოდა მხედრული მამაცობით. მიღებული ჭრილობის შედეგად გიორგი აღმოჩნდა ლაზარეთში, სადაც მას ემსახურებოდნენ თვით ნიკოლოზ II-ის ქალიშვილები, რაც დიდ პატივად ითვლებოდა მაშინდელ რუსეთის იმპერიაში.

აქვე ესტუმრა გიორგი მაზნიაშვილს იმპერატორი ნიკოლოზ II და პირადად გადასცა წმ. გიორგის ჯვარი ომში გამოჩენილი მხედრული მამაცობისათვის და მიიწვია თავის სასახლეში.

პირველ მსოფლიო ომში მაზნიაშვილი იბრძოდა დასავლეთის ფრონტზე. დაიჭრა ვარშავასთან. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ის დაბრუნდა საქართველოში, ჩამოაყალიბა 2 დივიზია, რითაც აქტიურად იცავდა თბილისს ქაოსისა და ბოლშევიკური გაფართოებისგან. გიორგი მაზნიაშვილი იყო დაუმარცხებელი გენერალი, რომელსაც არც ერთი ბრძოლა წაუგია დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში.

1918 წლის ბრესტის ზავის თანახმად, თურქებმა დაიკავეს ბათუმი და შეუტიეს გურიას. საფრთხე დაემუქრა ოზურგეთს. გიორგი მაზნიაშვილმა მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა ოსმალებს ჩოლოქის ბრძოლაში. 1918 წელს ის დაინიშნა აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორად, სადაც ივნისის თვეში წარმატებული დარტყმა მიაყენა რუსეთიდან შემოჭრილ ძალებს. დაიკავა ქალაქები გაგრა, სოჭი, ტუაფსე, რომლებზეც პრეტენზიას აცხადებდნენ როგორც თეთრი, ისე წითელი რუსეთი.

1918 წლის ოქტომბერში მაზნიაშვილი დაინიშნა თბილისის ოლქის გენერალ-გუბერნატორად, ხოლო 1918 წლის ნოემბერში ის იყო საქართველო-სომხეთის ომის შულავერის ფრონტის სარდალი.

1919 წლის აპრილში იყო ახალციხისა და ახალქალაქის გენერალ-გუბერნატორი, ხოლო 1920 წლის ოქტომბერში დაინიშნა თბილისის გარნიზონის მეთაურად. 1921 წლის თებერვალში გიორგი მაზნიაშვილი მეთაურობდა სოღანლუღის სამხედრო ნაწილებს და მონაწილეობდა საბჭოთა არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში. იცავდა სოღანლუღის სიმაღლეებს თბილისის მისადგომებთან.

რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის დროს, თბილისის დაცვისას, გენერალი მაზნიაშვილი ქალაქის თავდაცვის ცენტრალურ სექტორს მეთაურობდა. მის სექტორში, ქართულმა არმიამ ომის ყველაზე დიდი გამარჯვება მოიპოვა, როდესაც 19 თებერვალს, რუსული 58-ე მსროლელი ბრიგადა თითქმის სრულიად გაანადგურა. ამ ბრძოლაში მოწინააღმდეგემ დაღუპულების სახით 500-ზე მეტი ჯარისკაცი დაკარგა, ხოლო ტყვედ 1600-მდე რუსი სამხედრო ჩავარდა. ოსიაურის ბრძოლის დროს, გიორგი მაზნიაშვილი ერთ-ერთ სექტორს, ხოლო მოგვიანებით ლიხის ქედის თავდაცვის მარჯვენა სექტორს მეთაურობდა.

10 მარტს, სენაკის მაზრაში, მდინარე ცივთან, გენერალმა მაზნიაშვილმა აფხაზეთიდან შემოჭრილი რუსული ძალების შეტევა მოიგერია, რითაც ქართულ ძალებს სამტრედიიდან გასვლა და საჯავახოს ხაზზე გამაგრების საშუალება მისცა.

1921 წლის 18-21 მარტს, გიორგი მაზნიაშვილმა, ქართული ჯარით, ბათუმი მოწინააღმდეგის

ნაწილებისგან გაწმინდა.

1921 წელს თურქებმა ხელახლა დაიკავეს ბათუმი. გიორგი მაზნიაშვილმა ქართული ჯარის ნარჩენებით გაათავისუფლა ქალაქი და მთლიანად აჭარა საბჭოთა ხელისუფლებას გადასცა. და ამ ყველაფრის შემდეგ გიორგი მაზნიაშვილი საბჭოთა რეპრესიებს გაექცა საფრანგეთში. ის ერთხანს პარიზში ცხოვრობდა, სადაც ბევრი უსიამოვნება შეხვდა. საბოლოოდ, დაბრუნდა საქართველოში. მას, როგორც მოღალატეს და სამშობლოს მტერს, ახალმა ხელისუფლებამ არ მისცა სამუშაო და პენსია.

გიორგი მაზნიაშვილი დასახლდა თავის მამაპაპეულ სოფელ სასირეთში და ხელი მიჰყო გლეხურ მეურნეობას. 1937 წელს, რეპრესიების დროს დაიჭირეს მისი ვაჟი და დახვრიტეს. ძალიან მალე თავად გიორგი მაზნიაშვილიც დახვრიტეს. მისი საფლავი დღემდე უცნობია.

აწმყოს მკვიდრი საძირკველი

“ ... დავიწყება წარსულისა და ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან - მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წარწყმედისაცა. წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავალისა”,- ილიას ეს ბრძნული შეგონება დროთა კავშირის უწყვეტობას ეხმიანება.

მარადისობაში ჩაკირულ წარსულს ამქვეყნად ბევრი რამ ინახავს, როგორიცაა ძველი ნივთები და გაყვითლებული ფოტოები წინაპრებისა, რომელთა უტყვი მზერა კიდევ ერთხელ ჩაგვაფიქრებს წუთისოფლის ავსა და კარგზე, აწმყოსა და მომავალზე.

საქართველოს ბევრ ოჯახშია შემორჩენილი სიძველისადმი ტრფიალი. არიან ადამიანები, რომლებიც მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნებით, ტრადიციების დაცვითა და წინაპრებისადმი პატივისცემის გრძნობით გამოირჩევიან. ისინი სათუთად ინახავენ მამა-პაპათა ნაქონ-ნალოლიავებ ნივთებს და თაობებს რელიკვიად გადასცემენ, ხშირად მუზეუმებს ფონდების შესავსებად და დასაკომპლექტებლად უანგაროდ ჩუქნიან.

ცნობილია, რომ ექსპოზიციის გასამდიდრებლად აუცილებელია ექსპედიციების მოწყობა, რა დროსაც ხდება სამეურნეო, საბრძოლო თუ საყოფაცხოვრებო ნივთების მოძიება.

დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, მსგავსი გასვლითი ღონისძიებების ჩატარება შეუძლებელია. საბედნიეროდ, არიან ადამიანები, რომლებიც მუზეუმს საკუთარი სურვილით სწირავენ ამა თუ იმ ნივთს, რადგანაც წასულებს მხოლოდ ერთადერთი აქვთ საკუთრება - მუზეუმები...სადაც

სხედან ისევ ცოცხლები,- (ირ. აბაშიძე)

დიახ, ეს ძველებური ნივთები აცოცხლებენ ჩვენს წინაპრებს, გვიხატავენ მათ მიერ განვლილ გზას და შეგვახსენებენ, თუ ვისი გორისანი ვართ, შთამომავლობამ უნდა იცოდეს, რა იყო წარსულში, თუ ვინ ვიყავით, როგორ ვიყავით, რანი ვიყავით, როგორ ვცხოვრობდით... და დღემდე როგორ მოვედით ... (გ. ჩოხელი).

კასპის მუნიციპალიტეტში ბევრი ისეთი ოჯახია, რომელიც თავისი ქველმოქმედებით გამოირჩევა და გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპოზიციას ამრავალფეროვნებს და ამდიდრებს.

- სწორედ ამ მიზნით დაგვიკავშირდა სოფელ ახალციხეში მცხოვრები ახალგაზრდა კაცი დავით შატაიძე. მასთან სტუმრობისას ძველი მარნისა და სოფლის შემოგარენის დათვალიერების შემდეგ, მან მუზეუმს საჩუქრად გადასცა წინაპრების სონა და იოსებ (ცინკო) შატაიძეების ნაქონი ქალამნები, კოკა, სკივრი და საჩეჩელი. - აღნიშნა მუზეუმის თანამშრომელმა ნანა მერებაშვილმა.

სოფელ თეზში მცხოვრებმა მერაბ და მანანა დემეტრაშვილებმა დიდი პაპის გიორგი დემეტრაშვილის ნახელავი, ფერადი ყვავილებით მოხატული ზარდახშა და ფოტოსურათები უსახსოვრა ჩვენს მუზეუმს.

ეს ის გიორგია, რომელიც სიჭაბუკეში თავის თანატოლ სტალინს დასჭიდებია გორში. აქვე შეუსწავლია დურგლობა. ახლომახლო სოფლებში ერთადერთი დურგალი იყო და ამიტომაც მეტსახელად “დურგალა” შეარქვეს. მისი შვილიშვილის, მერაბის, ოჯახში დღესაც პირვანდელი სახითაა შემორჩენილი მუხის დედაბოძი.

პაპა გიორგი ამზადებდა სკივრებსა და კარადებსაც, რომლებიც შესაძლებელია კვლავ ბევრ ოჯახშია შენახული. ხეზე მუშაობის გარდა მას ძალიან ჰყვარებია კითხვა, ზეპირად სცოდნია “ყარამანიანი” და ღრმად მოხუცებულობამდე კითხულობდა მხატვრულ ლიტერატურას.

მუზეუმის ღვაწლმოსილმა მუშაკმა, წლების მანძილზე ფონდების მცველმა, ქალბატონმა ლიანა ბალხამიშვილმა მოიძია გუდამაყრული ფარდაგი, რომელიც მისი მეზობლის ნინო ონეზაშვილი-ბერიანიძის ოჯახში ინახებოდა. იგი ეკუთვნოდა ქ-ნ ნინოს დედამთილს, წარმოშობით გუდამაყრელ მაგდანა ბურდულს. მისი

ნამზითვი ფარდაგი ქ-მა ნინომ მუზეუმს უსასყიდლოდ გადასცა.

ცნობილია, რომ ფარდაგი ქართული ში-

ნამრეწველობის ერთ-ერთი დარგის, ხელსაქმის, საყურადღებო ნიმუშია.

ფარდაგი ქსოვილის ერთ-ერთი სახეობაა, რომელიც იქსოვებოდა სხვადასხვა ფერის მსხვილად ნაგრეხი, ძირითადად შალის უცხო ძაფით...

განარჩევენ ფარდაგის რამდენიმე სახეობას, არსებობს ერთსახიანი და ორსახიანი ფარდაგი... ერთსახიანის ნიმუშებია კვირტული.

ფარდაგის ორნამენტში გვხვდება მცენარეული, ზოომორფული და ანთროპომორფული მოტივები... ბევრი ფარდაგის სიუჟეტურ მხატვრობას თან ახლავს ხელოსნის ვინაობა და მოქსოვის თარიღი... (ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი).

ძველად, თითქმის ყველგან ქსოვდნენ ფარდაგებსა და ხალიჩებს ოჯახური საჭიროებისათვის. ქალიშვილებს პატარაობიდანვე ასწავლიდნენ მათ ქსოვას, რომელსაც შემდგომ მზითვში ატანდნენ.

ქსოვისას ხშირად იყენებდნენ ბუნებრივი მასალით შეღებილ ძაფს, რომლითაც გამოჰყავდათ სხვადასხვა ორნამენტები, გეომეტრიული თუ მცენარეული.

ნაქსოვს ამკობდნენ ჯვრებით, კვადრატებით, რომბებით, ყვავილებით. .. გამოსახავდნენ ლომებს, ირმებს, ქმნიდნენ კომპოზიციებს.

ამ მხრივ გამორჩეულია მაგდანა ბურდულის ნაქსოვი ფარდაგი, რომელზედაც ამოქარგულია აბესალომი და ეთერი.

ოჯახის გადმოცემით ფარდაგის ქსოვა მწუხარებასთან არის დაკავშირებული. ქ-ნი ნინო დედამთილის ნაამბობს იხსენებს. მაგდანას ახალგაზრდა ბიძაშვილს მეზობელ სოფელში დანიშნული ჰყოლია. ზამთარში მის სანახავად წასულა და გზაში ნამქერს დაუხრჩვია.

ახალგაზრდა ვიყავ, აბესალომ და ეთერის ამბავი კარგად ვიცოდი. მწუხარებისას, როცა ჩემს ბიძაშვილზე ვდარდობდი, ხშირად მახსენდებოდა აბესალომისა და ეთერის ტრაგიკული სიყვარულის ამბავი. დავჯექ, ეს ყველაფერი ამ ფარდაგში მოვაქციე და ცრემლებით მოვქსოვე,-იხსენებდა გუდამაყრელი ქალი, რომელმაც დახვეწილი გემოვნებითა და ფერთა გამის ჰარმონიით მოქსოვა ფარდაგი და მასზე ამოქარგული ნახატით გააცოცხლა ნამდვილი ამბავი.

კასპელი ზაურ დადიანიძისაგან მუზეუმმა ხელმისაწვდომ ფასში შეიძინა დიდი ბებიის ნაქონი ფარდაგი, რომელიც მისი სიმამრის, კავთისხეველი დავით ქსოვრელის, ოჯახის საკუთრებას წარმოადგენდა. შვიდი ერთეული თიხის ჭურჭელი: ჩაფი, დოქები და კოკები საჩუქრად გადმოსცა.

იმედია, ბევრი მიბაძავს ამ ოჯახების სამაგალითო საქციელსა და უძველესი ნივთების შემოწირულობით გაამდიდრებს კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდებსა და ექსპოზიციას. ეს კი დაეხმარება ვიზიტორებს უკეთ გაეცნონ ჩვენი წინაპრების მიერ განვლილ გზასა და კასპის მუნიციპალიტეტის კულტურულ-ისტორიულ მემკვიდრეობას.

2021 წელი

	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი
ორშაბათი	4 11 18 25	1 8 15 22	1 8 15 22 29	5 12 19 26	3 10 17 24 31	7 14 21 28
სამშაბათი	5 12 19 26	2 9 16 23	2 9 16 23 30	6 13 20 27	4 11 18 25	1 8 15 22 29
ოთხშაბათი	6 13 20 27	3 10 17 24	3 10 17 24 31	7 14 21 28	5 12 19 26	2 9 16 23 30
ხუთშაბათი	7 14 21 28	4 11 18 25	4 11 18 25	1 8 15 22 29	6 13 20 27	3 10 17 24
პარასკევი	1 8 15 22 29	5 12 19 26	5 12 19 26	2 9 16 23 30	7 14 21 28	4 11 18 25
შაბათი	2 9 16 23 30	6 13 20 27	6 13 20 27	3 10 17 24	1 8 15 22 29	5 12 19 26
კვირა	3 10 17 24 31	7 14 21 28	7 14 21 28	4 11 18 25	2 9 16 23 30	6 13 20 27

	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
ორშაბათი	5 12 19 26	2 9 16 23 30	6 13 20 27	4 11 18 25	1 8 15 22 29	6 13 20 27
სამშაბათი	6 13 20 27	3 10 17 24 31	7 14 21 28	5 12 19 26	2 9 16 23 30	7 14 21 28
ოთხშაბათი	7 14 21 28	4 11 18 25	1 8 15 22 29	6 13 20 27	3 10 17 24	1 8 15 22 29
ხუთშაბათი	1 8 15 22 29	5 12 19 26	2 9 16 23 30	7 14 21 28	4 11 18 25	2 9 16 23 30
პარასკევი	2 9 16 23 30	6 13 20 27	3 10 17 24	1 8 15 22 29	5 12 19 26	3 10 17 24 31
შაბათი	3 10 17 24 31	7 14 21 28	4 11 18 25	2 9 16 23 30	6 13 20 27	4 11 18 25
კვირა	4 11 18 25	1 8 15 22 29	5 12 19 26	3 10 17 24 31	7 14 21 28	5 12 19 26

მადლობა

ძვირფასო რედაქცია,

თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ჩვენი რაიონის გამოცდილ ექიმს, ქალბატონ ლია ქარქუსაშვილს და ჩვენივე რაიონის მკვიდრს, ამჟამად ქ. თბილისის ერთ-ერთი კლინიკის ხელმძღვანელს, ბატონ კახა ტატუნაშვილს იმ დიდი ყურადღებისა და თანადგომისათვის, რომელიც მათ ჩემი დედმამიშვილებისათვის კოვიდ-19-თან ბრძოლის დროს გამოიჩინეს.

მადლობა მათ ასეთი მაღალი პროფესიონალიზმისა და დიდი ადამიანურობისათვის. ფაქტობრივად ამ ზრუნვამ გადაარჩინა ჩემი ოჯახის წევრები.

დიდხანს ყოფილიყავით ჩვენი რაიონის მცხოვრებთა სამსახურში და დიდხანს გქონოდეთ ისეთივე დიდი სიყვარული და პატივისცემა, რომელიც მე მაქვს თქვენს მიმართ.

უფალი იყოს თქვენი და თქვენი ოჯახების მფარველი.

მადლიერებით,
ლუიზა
თითირაშვილი.

გილოცავთ!

ქორეოგრაფიულ ანსამბლ "ფერხულის" წევრები და მშობლები, დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ვულოცავთ დაბადების დღეს ჩვენს ულამაზეს და უსაყვარლეს მასწავლებელს მარიკა ბიჭიკაშვილს.

ვუსურვებთ კეთილდღეობას, ჯანმრთელობას, სიხარულს, წარმატებებს, სულის სილამაზესა და ბედნიერებას. ყოველი დღე იყოს ოცნებების ასრულების დღესასწაული.

გვიყვარხართ და გვენატრებით ძალიან.

ანსამბლ "ფერხულის" წევრები და მშობლები.

გამოგვიხმაურეთ!

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ორგანიზებულ ყველაზე ცოცხალ თუ ყერძი ცოლებს ვაძლევთ შეცვლიბლობას გაზეთის ცვშუალებით თვრთო მეითხველს გავცნოს ცყოთრი ცოლიც ინტერიან და ვწმყო.

2020-2021 ცვცწავლო წლიც განმავლობაში შეცვლიბლობა გაქვთ გაზეთში გამოაქვეყნოთ მშობლიური ცოლიც მილოწევები, გაზეთიც თუტლებიც მეშვეობით ცყვრთ გახვლთ თქვენი ვრთბლეები, დაცხოთ ცოლიც ცვცყრველი ცვმომვლო გეგმები, ყველაც გვცნოთ ლოვწლომოცილი, ვხვლგაზრდა თუ ვხვლბელა ველაგოგები, გვივმბეთ ცვლ და როგორ ცწავლობთ, რითი ვმყობთ, რა გცყრთ...

გვაცვნით თვნვრვიობელებც თქვენი ყურცდამთავრებული მეცხვეტები, რომლებიც ვრ ივიწყებენ ვლმა-მაცერს.

ცხოვრებიც ცვყეთეცო და უმშვენიერეც წლებს ვაცვრებთ ცყოლაში და გვინდა, რომ იქ გაცვრებული წლები იყოს მნიშვნელოვანი, წარმაცებული, დაყვიწყარი.

გამოგვიხმაურეთ!

ხსოვნა

ჯონი ქოსაშვილი

შვილო, ჯონი, ეს რა შავი დღე გამითენდა, ელდა მეცა, როდესაც დამირეკეს და მითხრეს - შენი შვილი ცუდად არის, საავადმყოფოშიაო. რატომღაც გული ისედაც ცუდს მიგრძნობდა...

გართულებული იყო მიმოსვლა, ეპიდემია მძვინვარებდა, ძლივს ჩამოვაღწიე თბილისამდე, ცოცხალს ვეღარ მოგისწარი შვილო, რად გამიმწარე სიბერე, თავზარდაცემული ვარ, ვიცი, რომ ვეღარასოდეს გნახავ, გზას გავყურებ, იქნებ, საიდანმე გამოჩნდეს მეთქი, ჭიშკრის კარებს შევყურებ, იქნებ, შემოაღოს კარი და შემომცინოს თავისი ლამაზი თვალებით მეთქი, მენატრები შვილო, უზომოდ მენატრები, რა მწარე ტკივილი დამიტოვე, ღრმა მოუშუშებელი იარა მაქვს გულში, მას ვეღარაფერი მოარჩენს.

გაურკვეველია ჩემთვის შენი მოულოდნელად წასვლა ამ ქვეყნიდან შვილო, ჯონი, გამოცანად დარჩი ჩემთვის, ნეტავ, რა ფიქრები ან რა დარდი გქონდა გულში, მუდამ ალალი და სპეტაკი იყავი, ყველას უყვარდი. ყველა პატივს გცემდა, მიკვირს, დედას რატომ არ გაუმხილე შენი ვარამი, გაგიგებდი, შენს ლამაზ სახეს გულში ჩავიხუტებდი, დედის ძალას მოგცემდი და გადაგარჩენდი.

შვილო, ჯონი, რაც დრო გადის, უფრო და უფრო მიმძაფრდება შენი მონატრება, 7 თვეა, რაც დაგკარგე, რაღად მინდა ასეთი სიცოცხლე, თუკი შენ არ მეყოლები, ჩემო მონატრებავ, ჩემო განუზომელო ტკივილო, ჩემო საყვარელო შვილო, გეფერები, ჩამოვალ თბილისში, მოვალ მახათას მთასთან და შენთვის ვილოცებ.

დედა

გვხლით ჩვენი მეითხველი!

ნანა მერებაშვილი, თეო კოტიაშვილი და ლია მენაბდიშვილი თანაუგრძნობენ ნინო ცინცაძეს მამის, ნოდარ ცინცაძეს სიმამრის
გელა ციხისთავის
გარდაცვალების გამო.

რუსუდან ხეჩუაშვილი და ნანა მერებაშვილი თანაუგრძნობენ ვახტანგ ტურაშვილს ძმის
გივი ტურაშვილის
გარდაცვალების გამო.

დალი კორკომაშვილი და დათო გურასპაშვილი თანაუგრძნობენ ვახტანგ ტურაშვილს ძმის
გივი ტურაშვილის
გარდაცვალების გამო.

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. კოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი
ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი:
2600 ქ ქასპი
სააკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76